# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 8 ივნისი, 2011 წელი.

№105 (6716)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაცდანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## ფარული ომი წილების გადასანაწილებლად,

### ანუ რა ხდება წლების მანძილზე თბილისის მერიაში





5



**თინა ხიდაშელი:**

## დედაქალაქის საკრებულო ამ ქალაქის მცხოვრებთა უფლებებს უნდა იცავდეს

4



## „მაძღარი ინტელიგენცია არანაკლებ საშიშია, ვიდრე მშიერი ბრბო“...

2

## აქციის ორგანიზატორებს პასუხისმგებლობა იმის გამო ეკისრებათ, რომ მათ ძალადობის პროვოცირება მოახდინეს



3

## ტერაქტებიდან – ტერაქტებამდე...

3

პოტენციურ ინვესტორებსა და ტურისტებს რომ ვაფრთხობთ, ვერ ვხვდებით?

## ვითომ ქალის გადამეტება და მეტი არაფერი?!

9

## გოგელია – ოქრუაშვილს, გუნცაძე – გაჩეჩილაძეს



6

## არსებობს მტკიცებულებები, რომ ქართულმა მხარემ ჩაიდინა ომის დანაშაულები, 2008 წლის აგვისტოში ცხინვალში შეჭრის დროს

7

### რა დასკვნა გამოაქვს ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტს?

№ 105. ოთხშაბათი, 8 ივნისი, 2011 წელი.

პოზიცია

# „მაძღარი ინტელიგენცია არანაკლებ საშიშია, ვიდრე მშიერი ბრბო“...

**ეს სენტენცია თუ შეგონება დიდი ჭაბუა ამირეჯიბის ნააზრევიდან ამოვიკითხე. ამ ნათქვამის ინტერპრეტირება, ანუ, შინაარსობრივი გააზრება, სხვადასხვა კუთხით შეიძლება. გააჩნია მოცემულ დროსა და მომენტს. ჰოდა სწორედ აქედან გამომდინარე, როდესაც ჭაბუას, აწ ბერი დავითის ნათქვამი ამოვიკითხე ჟურნალ „ათიანში“, თვალწინ, ზოგადად მაძღარი იმ ინტელიგენციის ნაწილი წარმომიდგა, რომლებიც გასულ 26 მაისს, იქ სადაც სააკაშვილმა წინა ღამით ქართველებს განკითხვის დღე მოუწყო, მორჩილად იდგნენ საზეიმო მწკრივში, დიქტატორისგან ორდენის მოლოდინში ქედდადრეკილნი.**

პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენის მორიგ ნომინანტთა 15-კაციან სიაში, განსაკუთრებით ოთხმა გვარმა მომჭრა ყური და მგონი არა მხოლოდ მე, არამედ იმედია, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილსაც: მუსიკოსი ვახტანგ მაჭავარიანი, მხატვარი რუსუდან ფეტვიაშვილი, პოეტი ტარიელ ჭანტურია და მწერალი რეზო გაბრიაძე. თუმცა, ეს უკანასკნელი, როგორც გაირკვა, ბოლო მომენტში არ მისულა (???ძ იძ. ანუ, ხელოვანი ხალხისგან არის მსგავსი საქციელი გულსატკენი, თორემ დანარჩენები, კალათბურთელ არვიდას საბონისის თამადობით, ვის და სად დაკარგვია!?

ვუყურებდი მათ და ფიქრებში ხავსს ვეჭიდებოდი, იქნება არ იცოდნენ წინაღამით რაც მოხდა იქ და მოტყუებით, რაღაც მანქანებით მიიყვანეს აღლუმზე, მაგრამ ახლა ხომ ეცოდინებათ, რომ „კვლავ გადარეცხეს სისხლი ქვაფენილს“ და ან ერთში, ან მეორეში, ან მესამეში გაიღვიძებსმეთქი ზვიადაურის სული და უკანასკნელ მომენტში უკან მიახლიდნენ ქართული სისხლით განბანილ ბრწყინვალების ორდენს!

მაგრამ არა! მორჩილად დაუხარეს თავები და დიქტატორმა დადრეკილ კისრებზე ჩამოჰკიდა „მენდლები“. რუსუდან ფეტვიაშვილმა ვერ დაინახა, რომ ჯილდოს იმისგან იღებდა, ვინც აგრერიგად ჰგავდა მის მიერ დიდი ოსტატობით დახატულ დემონებს, ეშმაკებსა თუ ურჩხულებს. ტარიელ ჭანტურიას კი ნუთუ არ გაახსენდა საკუთარი პატრიოტული ლექსი „საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით“! უფრო სწორად, იმას ვერ მიხვდა, რომ ამ ლექსს ამიერიდან ქართველი ხალხი, „ორდენებისთვის, ბიჭებო, სწორდით!“ გადააკეთებს...

სიტყვამ მოიტანა და იმ დღეს, როდესაც ამ ხალხის თვითმკვლელობას ვუყურე პირდაპირ ეთერში, ტარიელ ჭანტურიას ზემოთ ხსენებულ ლექსს დავუწყე ძებნა, მის მიერვე ჩემთვის ნაჩუქარ ლექსების (ასი ლექსიძ კრებულში ვერ ვიპოვნე, მაგრამ, სამაგიეროდ წავაწყდი ტარიელ ჭანტურიას ხელრთვას ნაჩუქარ წიგნზე — „დათოს, რომელსაც საფუძვლიანად აწი უნდა გავეცნო“!

ეეჰ, ნეტავ პირიქით არ მომხდარიყო...

უკვე გაისმა მოწოდებები ამ ხალხის მიმართ, გიორგი შენგელაიას მიერ (რომელმაც, მთელ ქართულ საზოგადოებასთან ერთად, საკუთარ ძმაზე, ყველასთვის საყვარელი ფილმების ავტორ ელდარ შენგელაიას გამო განიცადა მსგავსი გრძნობებიძ, რომ მომხდარის შემდეგ მაინც მოვიდნენ აზრზე, და უკან დააბრუნონ უზნეობის ორდენები და მსგავსი დემარშის პიონერის ( ვინც თავის დროზე, ღირსების ორდენი უკან დაუბრუნა შევარდნაძესძ, ნოდარ მგალობლიშვილის მხრიდან. რაც ვფიქრობ უაზრობაა, რადგანაც ჯერ ერთი არ მგონია, რომ მსგავსი ზნეობრივი ნაბიჯი გადადგან და რომც გაბედონ ეს, ბოლომდე მაინც ვერ ჩამოირეცხენ იმ სირცხვილს, რაც მთელი საქართველოს თვალწინ ჭამეს.

კამოც, რომელმაც ქაქი მიირთვა, მას მერე, რომ სულ ია-ვარდის სურნელი ეფრქვია პირიდან, მაინც ქაქნაჭამ კამოდ დარჩებოდა...

კამოსთან პარალელი, რა თქმა უნდა, არ ეხება ნოდარ მგალობლიშვილს, რადგან მას წუთითაც არ დაუბნევია გულზე ის ორდენი, რომელიც სახლში მიართვეს და ასევე, „უპაკოვკაშივე“ დაუბრუნა მაშინდელ ხელმწიფეს.

მაგრამ არც მასეა საქმე. ანუ, არა ნაკლები უზნეობაა ის, რომ არაორდენოსანი (ჯერჯერობით?ძ ინტელიგენციის უმეტესობაც სდუმს. განსაკუთრებით მათგან ელის საზოგადოება ხმის ამოღებას, ვისი „ვარსკვლავებითაც“ მოჭიქულია გაღმა-გამოღმა თბილისის ტროტუარები.

ასეა, როგორც ყოველთვის ჭეშმარიტებას ლაღადებენ ბატონი ჭაბუას ბაგენი — მაძღარი ინტელიგენცია არა ნაკლებ სახიფათოა, ვიდრე მშიერი ხალხის ბრბო! იქნებ უფრო მეტადაც, რადგან მშიერმა ხალხმა შეიძლება მხოლოდ დაანგრიოს და დალეწოს ირგვლივ ყველაფერი მატერიალური, რაც, ადრე თუ გვიან აღდგენას ექვემდებარება. მაძღარი ინტელიგეციის უზნეობა კი ერის სულიერებას რყვნის და ანგრევს, რისი აღდგენაც, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია ხოლმე!

**ერთი გამონათება მაინც მოხდა პრეზიდენტის ბნელ აღლუმზე — სუხიშვილების ანსამბლმა უარი თქვა სისხლიან ასფალტზე ხორუმის ცეკვაზე, რითიც მათ ისეთი ბრწყინვალება შეიძინეს ხალხის თვალში, რასაც ვერანაირი ბრწყინვალების ორდენი ვერ შეედრება! სიყვარული კი არც აქამდე აკლდათ ქართველი ხალხის გულში...**

**დავით მხეიძე**



მაისის მოვლენების ექო

# სამოქალაქო საზოგადოება უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს



**„დევნილი სამოქალაქო საზოგადოების კოალიცია“ მაისში განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა: საქართველოს მოსახლეობა აგერ უკვე, რახანია, თვალ-ყურს ადევნებს უშედეგო აქციებს. 2011 წლის 21-25 მაისს მოთხოვნა ერთი იყო: „მიშა, გადადექი!“ მოთხოვნა არ შესრულდა, აქტივისტები მალევე დაარბიეს, მაგრამ სამწუხარო მაინც ისაა, რომ ამ ამბავს რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დღემდე გაურკვეველია დარბევის შემდეგ დაკარგულად მიჩნეული ადამიანების ბედი.**

ის, რაც მაისში მოხდა, „დევნილი სამოქალაქო საზოგადოების კოალიციის“ აზრით, არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერება ძალიან დაბალია. მაისის მოვლენებმა ცხადყო, რომ სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს შუალედურ ავტონომიურ რგოლს სახელმწიფოსა და სოციალურ ჯგუფებს შორის, ვერ ახდენს აქტიურ გავლენას საზოგადოების უსაფრთხოებაზე.

სამოქალაქო საზოგადოებას, ასევე, არა აქვს უნარი და საშუალება, გავლენა მოახდინოს როგორც საზოგადოებაზე ისე ხელისუფლებაზეო, ფიქრობენ „დევნილი სამოქალაქო საზოგადოების წევრები“.

ქართულ სამოქალაქო საზოგადოებაში არ არსებობს ძალთა სასურველი ბალანსიც, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევს მთავრობის ქმედებებს და ზეგავლენას მოახდენს საჯარო პოლიტიკის ფორმირებაზე.

საზოგადოების სამოქალაქო განათლების ამაღლება და ხელშეწყობა არასამთავრობო ორგანიზაციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, მაგრამ ორგანიზაციები მოქალაქეებს მაქსიმალურად ვერ იცავენ, ამის მაგალითია 20 თებერვლის დილა. ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ასობით დევნილი გადაასახლეს თბილისიდან ზუგდიდის ერთ-ერთ სოფელში — ფოცხო-ეწერში, სადაც ელემენტარული საცხოვრებელი პირობებიც კი არ იყო შექმნილი, გადასახლებულს არც მიწა ჰქონდა და არც ჭერი თავზე. ამ ამბავს ორი ადამიანიც კი შეეწირა, თუმცა დღემდე მათი ბედით არავინ ინტერესდება.

არასამთავრობო ორგანიზაციებს ძალიან დიდი ბარიერების გადალახვა უწევთ, რათა საზოგადოების ინტერესები დაიცვან, თუმცა საზოგადოების მხრიდან მათი მხარდაჭერა ძალიან დაბალია.

სწორედ ამიტომ არ იზრდება სამოქალაქო სექტორის მონაწილეობა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში, შედეგად კი ვლებულობთ იმას, რისი მომსწრეც არის ქართველი საზოგადოება ბოლო 20 წლის განმავლობაში, — განაცხადეს „დევნილი სამოქალაქო საზოგადოების“ კოალიციის წარმომადგენლებმა ბრიფინგზე.

**ირინა ოზოლაშვილი**

ინფორმაცია

## რაღაც მოგვეძალნენ კონგრესმენები...

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერ მანანა მანჯგალაძის განცხადებით, მომავალ კვირას თბილისში კიდევ კონგრესმენთა ერთი დელეგაცია ჩამოდის.**

**მისი თქმით, მთელი ზაფხულის განმავლობაში ჩანიშნულია რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი.**

**— კერძოდ საქართველოში ზაფხულში რამდენიმე ევროპული ქვეყნის მეთაური ჩამობრძანდება. მიმდინარეობს თარიღების დაზუსტება და რამდენიმე ხანში გახდება ცნობილი კონკრეტულად ვინ და რა დროს ჩამოვა. თუმცა, შეხვედრები ჩანიშნულია, — განაცხადა მანჯგალაძემ.**

**მანჯგალაძე ასევე გამოეხმაურა ამერიკელ კონგრესმენთა კიდევ ერთ ვიზიტს საქართველოში.**

**— განხილულ იქნა ქართულ-ამერიკული ურთიერთობების პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები, ასევე ის სცენები, რომელიც უკავშირდება ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას. საუბარი შეეხო უსაფრთხოების საკითხებსაც, — აღნიშნა მანჯგალაძემ.**

## ეს არ იქნება მხოლოდ აზერბაიჯანისა და სომხეთის ომი

**კავკასიის საკითხებში ექსპერტი მამუკა არეშიძე აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ომის განახლების შესაძლებლობას 50/50-ზე უყურებს.**

**„ომის განახლების ალბათობას ვვარაუდობ 50/50-ზე. მაინც ვფიქრობ, რომ აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრის მუქარები სომხეთის მიმართ პიარის ელემენტებს შეიცავს. ფაქტია, რომ სიტუაცია ჩიხშია შესული. საერთაშორისო ორგანიზაციების ამბიციურობისა და პასიურობის გამო, იმის იმიტაცია კი არ ხდება, რომ კონფლიქტის დასარეგულირებლად რაიმე მოქმედება მიმდინარეობს, ამიტომაც აზერბაიჯანის მხარეს სხვა არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ ამ ტიპის განცხადებები აკეთოს“, — განაცხადა არეშიძემ.**

**მისივე განმარტებით, ომის განახლების შემთხვევაში, ეს არ იქნება მხოლოდ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომი, არამედ ის გეოპოლიტიკურ სიტუაციაზეც მოახდენს გავლენას.**

**„ეს არ იქნება მხოლოდ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომი. ეს იქნება მთლიანად რეგიონის ომი, რომელიც გეოპოლიტიკურ სიტუაციაზე იმოქმედებს. კონკრეტულად საქართველოს 25-30 წლით უკან გადააგდებს და ხელს მოათბობინებს მხოლოდ ჩვენს მტრებსა და მეზობლებს“, — აღნიშნა არეშიძემ.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

განსჯა

# აქციის ორგანიზატორებს პასუხისმგებლობა იმის გამო ეკისრებათ, რომ მათ ძალადობის პროვოცირება მოახდინეს



***როგორ** აისახება 26 მაისის მოვლენები ქართულ პოლიტიკაზე და რა შედეგები შეიძლება მიიღოს ოპოზიციურმა „რვიანმა“ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხებზე ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებზე? — ამ საკითხებზე ესაუბრა „ინტერპრესნიუსი“ ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორს კახა გოგოლაშვილს.*

**— ბატონო კახა, 26 მაისის მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ქართულ პოლიტიკაში რუსული ფაქტორი კვლავ აქტუალურია. ამ თემაზე ბევრს კი საუბრობენ, მაგრამ ჯერ გაურკვეველი რჩება, რა ფორმით მონაწილეობდა რუსული მხარე 21-26 მაისის მოვლენებში. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ის, რომ აქციის ორგანიზატორებს მხოლოდ პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებები აქვთ წაყენებული. თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია მტკიცება, რომ ქართულ პოლიტიკაში რუსული ფაქტორის ზედმეტად გამოყენების ტენდენცია არსებობს? ისიც ნათელია, რომ მომხდარში უფრო მეტი პასუხგაუცემელი კითხვაა...**

—ფაქტია, რომ ქართულ პოლიტიკაში რუსული ფაქტორი არსებობს, მაგრამ რა დოზით, რა შესაძლებლობებით, რამდენად „ეფექტურად და ნაყოფიერად“, ამის თქმა ჭირს. ჩემი აზრით, ჯერჯერობით, ქართულ პოლიტიკაში რუსეთის გავლენაზე და რაიმე სერიოზულ შედეგზე საუბარი გადაჭარბებულია, თუ არ ჩავთვლით უსიამოვნო ექსცესებს, ისეთ შემთხვევებს, როგორიც იყო 25-26 მაისის მოვლენები. სამწუხაროდ, ჩვენს რეალობაში ბევრი ისეთი მოვლენა განვითარებულა, რომელთა კვალი სწორედ რუსულ სპეცსამსახურებამდე მიდის. ხშირია გარკვეული პოლიტიკოსების მეშვეობით ქართულ საქმეებში ჩარევის შემთხვევები. რუსეთი ცალკეული პოლიტიკოსების საშუალებით ცდილობს გარკვეული აქციების დაფინანსებას. რომ არაფერი ვთქვათ ადრე განხორციელებულ ტერაქტებზე, ტერიტორიების ოკუპაციაზე, ქართულ პოლიტიკაში რუსეთის მონაწილეობის მცდელობები აშკარაა.

რაც შეეხება იმას, რომ დაკავებულების მიმართ არ არის წაყენებული ბრალდებები სამშობლოს ღალატის მუხლით, არა მგონია, ეს რთულად გასაგები იყოს. პოლიტიკა და იურისპრუდენცია ერთმანეთისაგან ისევე განსხვავდება, როგორც სამართლებრივი ქმედება და პოლიტიკური ხასიათის აქციები. როცა ტელევიზიით საუბარია იმაზე, რომ არის საქართველოს შიდა პროცესებში რუსეთის სპეცსამსახურების მონაწილეობის ფაქტები, ეს, რა თქმა უნდა, პოლიტიკური განცხადებებია. უმიზეზოდ ისინი არ კეთდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი უნდა აისახოს სამართალდამცველთა ხისტ ქმედებებში გამოძიებისას და სასამართლოში.

შესაძლოა, იყოს ისეთი ტიპის ქმედებები, რომლებიც იძლევა პოლიტიკური განცხადებების შესაძლებლობას, მაგრამ არ იყოს საკმარისი სამხილები იმისათვის, რომ საქმე ქვეყნის ღალატის მუხლით აღიძრას. შესაძლოა, არსებობდეს პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხიც. არ გამოვრიცხავ, რომ ამგვარი მუხლებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესებში არ შედიოდეს. ყოველ შემთხვევაში, იმ ჩანაწერების, ნამდვილობა რომლებიც ტელევიზიით გადაიცა, არავის არ უარუყვია. ვერ ვიტყვი, რომ იმ ჩანაწერებიდან ვინმეს ბრალეულობაზე საუბარი შეიძლება. ასეთ საუბრებზე შეიძლება ითქვას, რომ საუბრის მონაწილეები ზრახვებსა და თავის ფანტაზიებზე მსჯელობდნენ. ის, რაც ტელევიზიით ვიხილეთ, არ არის საკმარისი სამხილი იმისათვის, რომ ვინმეს ბრალდებები სამშობლოს ღალატით წაუყენონ.

**— აქციის ორგანიზატორთა უპასუხისმგებლობაზე არავინ დავობს, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ხელისუფლებამაც ძალის გამოყენებაში აშკარად გადააჭარბა. მომხდარში პასუხისმგებლობას პროცენტულად ვის უფრო მეტად დააკისრებდით — ხელისუფლებას თუ ოპოზიციას?**

— ჩემი აზრით, ოპოზიცია არის ის, ვინც პოლიტიკურად იბრძვის და თავისი მიზნების პოლიტიკური ხერხებით მიღწევას ცდილობს. 26 მაისის აქციის არსი რამე პოლიტიკური მიზნის მიღწევა არ ყოფილა.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## რუსეთის სპეცსამსახურებს საქართველოს ტერიტორიაზე ტერაქტების ორგანიზებაში ადანაშაულებენ

**როგორც ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, ქართულ მხარეს საკმარისი მტკიცებულებები აქვს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო დროს აღკვეთილი ორი ტერაქტი რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იგეგმებოდა.**

**„მინდა ყურადღება შევაჩერო თავიდან აცილებულ იმ ორ ტერაქტზე რომლებიც ჩვენი სამართალდამცველების აქტიური ქმედებებით იქნა აღკვეთილი. ამჯერადაც ჩვენ გაგვაჩნია საკმარისი მტკიცებულებები რომ გამოვაცხადოთ ორივე შემთხვევა ისევე როგორც გასული შემთხვევები იგეგმებოდა და იგეგმება რუსეთის სპეცსმასახურების მიერ ადგილობრივი საოკუპაციო ძალების მხარდაჭერით ოკუპირებული ტერიტორიებიდან“, — განაცხადა მანჯგალაძემ.**

**ქართული მხარე საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართავს რომ გამოიყენონ მათ ხელთ არსებული რესურსები და ზემოქმედება მოახდინონ რუსეთის ფედერაციაზე.**

ჯი-ეიჩ-ენი

ვითარება

**მცხეთის რაიონში სამართალდამცველებმა ბადრი გოგიაშვილი დააკავეს, რომელსაც, შსს-ს ცნობით, ასაფეთქებელი ნივთიერება ჰქონდა. ამასთან, სამინისტრო ავრცელებს დაკავებულის ჩვენებას, რომლითაც ირკვევა, რომ მას ახალგორში დისლოცირებული რუსეთის სასაზღვრო ჯარების უფროსის მოადგილემ ალექსეი სოკოლოვმა, ახალგორის სამმართველოს მილიციის უფროსმა ვლადიმერ ფუხაევმა და ახალგორის სამმართველოს მილიციის თანამშრომელმა ვოვა კიბილოვმა დაავალეს თბილისში ისეთი შენობის მოძებნა, რომელზეც იქნებოდა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის, ევროკავშირის ან ამერიკის შეერთებული შტატების დროშა.**

# ტერაქტებიდან — ტერაქტებამდე...




## პოტენციურ ინვესტორებსა და ტურისტებს რომ ვაფრთხობთ, ვერ ვხვდებით?

ბადრი გოგიაშვილმა მათ გადასცა შენობების სია, დამკვეთებმა კი ასაფეთქებლად შეარჩიეს თბილისში განთავსებული ნატოს სამეკავშირეო ოფისი და ბადრი გოგიაშვილს მოსთხოვეს, ახალგორში მისთვის გადაცემული ბომბი ამ ოფისთან აეფეთქებინა. შსს-ს ცნობით, დაკავებულის ჩვენებით ირკვევა, რომ აღნიშნული ტერორისტული აქტის განხორციელებისთვის მას 2 000 აშშ დოლარს გადაუხდიდნენ. ბოლო 5 დღის განმავლობაში, ეს არის რიგით მეორე ტერაქტი ზუგდიდის შემდეგ, რომლის აღკვეთაც პოლიციამ შესძლო.

პრესაგე.ტვ შეეცადა დეტალები გაერკვია. დაკავებული ბადრი გოგიაშვილის დამ პრესაგე.ტვ-სთან საუბარი არ ისურვა, ოჯახის ახლობელმა მაკამ გვითხრა: **„ჩვენ არაფერი ვიცით, შოკში ვართ და ჟურნალისტებისთვის არ გვცალია“.**

პრესაგე.ტვ დაუკავშირდა ახალგორის პოლიციის ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელმაც ასეთი რამ თქვა: **„ტელევიზიით გავიგეთ ეს ამბავი. ალექსეი სოკოლოვი არ ვიცით, ვინ არის, რაც შეეხება პოლიციის უფროსს ვლადიმერ ფუხაევს, ძალიან კარგი ადამიანია და მისთვის ოსი და ქართველი არ არსებობს, მისთვის კანონია მთავარი. კარგით, შეიძლება ჩემი ეს ნათქვამი ცუდად გაიგოს ვინმემ და თქვას, აბა სხვა რა უნდა თქვას ფუხაევზე მისმა თანამშრომელმაო, მაგრამ ვოვა კიბილოვის ნათესავები წეროვანში არიან და შეგიძლიათ მათ ჰკითხოთ გადამოწმების მიზნით — კიბილოვი ერთი გასაცოდავებული, უპატრონო ბიჭია, რომელმაც წერა-კითხვაც კი არ იცის წესიერად. 8 კლასი ძლივს დაამთავრა და მილიციაში იმიტომ მუშაობს, პურის ფული მაინც რომ ჰქონდეს. დედა ჰყავს, დები თბილისში არიან გათხოვილი, თუ რუსეთი ასეთი „ტერორისტების“ იმედად ებრძვის სააკაშვილის ხელისუფლებას, რაღა უნდა ვთქვა. შსს ავრცელებს ინფორმაციას და რა უფლება მაქვს რამე ვთქვა, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა ახალგორის ჯერი დადგა, გალში „აღმოაჩინეს“ ბომბი და ახლა ტერორისტებს ჩვენთან ეძებენ, კოჭორიას ახალი ოფისი აქ გაიხსნა“.**

ვოვა კიბილოვის ბიძაშვილმა, მაკა კიბილოვმა პრესაგე.ტვ-სთან საუბრისას განაცხადა: **„რაც წეროვანში გადმოვედით, მას შემდეგ ვოვა არ მინახავს, ეგ ახალგორში დარჩა და იქ ცხოვრობს დედასთან ერთად. მისი დები თბილისში არიან გათხოვილები. ობოლია, მამა არა ჰყავს, მართალია, წერა-კითხვა თითქმის არც იცის, სუსტი გონებისაა, მაგრამ მე კარგად მაინც არ ვიცნობ...“**

ზოგადად, შსს-ს მიერ, საქართველოში ტერორისტების „აღმოჩენა-განეიტრალების“ საქმეს ბევრი უკვე ეჭვის თვალით უყურებს. ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი მიმდინარე მოვლენებს უარყოფითად აფასებს და პრესაგე.ტვ-სთან აცხადებს:

— იმის მიუხედავად, რომ მე პირადად, როგორც რიგით მოქალაქეს, არა მაქვს ჩვენი სამართალდამცავებისადმი ნდობა, დავუშვათ, რომ მათ აღკვეთეს ეს ტერაქტები, მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ თუ ჩვენ საქმე გვაქვს იმასთან, რომ 2 ათას დოლარად შეიძლება ტერორისტების გამოგზავნა და ჩვენთვის მნიშვნელოვანი ობიექტების აფეთქება ისე, რომ ჩვენი მოქალაქეები გახდნენ ტერაქტის მსხვერპლი, ეს იმას ნიშნავს, რომ საკმარისია ერთი ტერაქტი განხორციელდეს და ტრაგედიასთან გვექნება საქმე.

რამდენი ტერაქტი შეიძლება აღკვეთონ? ჩვენ თუ ვამბობთ, რომ რუსეთი მუდმივად ცდილობს ტერაქტების მოწყობას, ერთი მაინც გამოუვა. თუ რუსეთი ტერაქტებს გეგმავს, მაშინ უნდა გავიგოთ, რა მიზანი აქვს ამ ტერაქტებს.

**— თან ასე ცუდად დაგეგმილს...**

— დიახ, მარტო არეულობა და იმიჯის შელახვა არ არის საკმარისი, სხვა მიზეზებიც არსებობს, მაგალითად - პოლიტიკური. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ქვეყანამ უნდა გაარკვიოს მიზეზი. თუ ასე გაგრძელდება და ჩვენ მუდმივად ტერორისტული აქტების შიში გვექნება, არც ტურიზმი განვითარდება ჩვენს ქვეყანაში და არც ინვესტორი შემოვა. ხელისუფლება სერიოზულად უნდა დაფიქრდეს. თუ არის სადავო საკითხები, ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და ამაზე უნდა ისაუბროს. ჩვენ ვერ ვთანხმდებით რუსეთთან პოლიტიკურ საკითხებში, მაგრამ მინიმუმ უნდა მოხდეს შეთანხმება ისეთ საკითხზე, რომელიც ძალადობის გარეშე მოქმედებას გულისხმობს. თუ ესეც არ შეუძლია საქართველოს და რუსეთის ხელისუფლებას, მაშინ ეს უნდა ითქვას - ჩვენ ადამიანების უსაფრთხოებაზეც კი ვერ ვთანხმდებით!

**— რას შეცვლის ეს?**

— ეს იქნება კარგი არგუმენტი, უფრო აქტიურად ჩავრთოთ საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგრამ რატომღაც მეჩვენება, რომ ჩვენი ხელისუფლება, ერთი მხრივ, ამაყობს ასეთი კარგი სამართალდამცველები რომ გვყავს და ,მეორე მხრივ, რუსეთი რა ცუდია, მაგრამ ამით ინვესტორებს რომ ვაფრთხობთ და ტურიზმი იღუპება, ამაზე არავინ ფიქრობს.

**— ერთ-ერთი გახსნილი ტერაქტის შემდეგ ასაკოვანი ქალბატონი დააკავეს, რამდენად დამაჯერებელი იყო თქვენთვის ეს ფაქტი?**

— დეტალები არ ვიცი და კომენტარს ვერ გავაკეთებ.

**ნანა მაისაშვილი.**

**Presage.tv**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

**◉ განსჯა**

(მესამე გვერდიდან)

# აქციის ორგანიზატორებს პასუხისმგებლობა იმის გამო ეკისრებათ, რომ მათ ძალადობის პროვოცირება მოახდინეს

ეს უფრო ქვეყანაში დესტაბილიზაციისა და უცნაური ქაოსის დამკვიდრების მცდელობა იყო, რასაც თავისთავად არ შეეძლო რომელიმე პოლიტიკური ძალისათვის დივიდენდების მოტანა. აქციის ორგანიზატორებმა თავიდანვე იცოდნენ, რომ იმ ტიპის აქციები, რომელიც მათ დაგეგმეს, მათ პოლიტიკურად დააზარალებდა. თუ კარგად დავუკვირდებით, ჩანს, რომ ამ აქციის ორგანიზება ვიღაც სხვის ინტერესში უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, ამაშიც სწორედ რომ მეზობელ ქვეყანაში უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებული. თუ ადამიანები ტელევიზიაში ნაჩვენებ საუბარში თავის ზრახვებზე საუბრობენ, ამგვარი ეჭვის გამოთქმის საფუძველი ჩვენც გვაქვს. ამას, მტკიცებაზე მეტად, მომხდარის გაანალიზება და ფიქრი სჭირდება.

ამიტომ, პასუხისმგებლობა პირველ რიგში აქციის ორგანიზატორებს ეკისრებათ. მათ ძალადობის პროვოცირება მოახდინეს. ხელისუფლებას ძალადობის გამოყენება რომ არ სურდა, იქიდანაც ჩანს, რომ ხელისუფლებამ მათ ადგილის შეცვლა შესთავაზა. გარდა იმისა, რომ „სახალხო კრებამ“ ძალადობის პროვოცირება გამოიწვია, ქალბატონმა ბურჯანაძემ ისიც კი განაცხადა, – „მოვიდნენ და ვნახავთ რისი გამკეთებლები არიან, ძალა მორევაზეაო“. მე, როგორც ერთი მოქალაქე, მომხდარზე პასუხისმგებლობას მაპროვოცირებელ მხარეს ვაკისრებ.

რაც შეეხება პოლიციას. ადვილია საუბარი იმაზე, რომ პოლიციამ არაპროპორციული ძალა გამოიყენა. ჩემი აზრით, ნამდვილადაა შესაძლებელი პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტების გამოძიება, იმის გამოძიება, რამდენად სწორად იქნა გამოყენებული ესა თუ ის იარაღი, მართლა აღმოჩდნენ თუ არა აქციის მონაწილეები ალყაში და ჰქონდათ თუ არა მათ ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობა. ამ საკითხებზე ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები გამოითქმის, ამიტომ პირადად მე მომხრე ვარ, რომ მომხდარზე გამოძიება ჩატარდეს. ჩემი აზრით, პოლიციელები ინდივიდუალურ დონეზე აჭარბებდნენ თავიანთ უფლებამოსილებას.

**– ბევრი მიიჩნევს, რომ 26 მაისის მოვლენების შედეგები გრძელვადიან პერსპექტივაში, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე აუცილებლად აისახება.**

– 26 მაისის მოვლენები პოლიტიკურ პროცესებზე, შესაძლოა, დადებითად აისახოს. ნათელია, რომ გაკოტრდა შეხედულება, რომ ჯოხებით და აქციების ორგანიზებით ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელია. ჩემი აზრით, მსგავსი მოწოდებები და პოლიტიკური აზროვნება წარსულს ჩაბარდება. ბევრმა პოლიტიკურმა პარტიამ ამგვარი გზით ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობა საჯაროდ დაგმო. ხელისუფლება მომავალშიც შეეცდება აღკვეთოს ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის ნებისმიერი მცდელობა. ხელისუფლება მომავალშიც ხისტი იქნება, მაგრამ კონსტიტუციურ ფარგლებში, ძალიან ფრთხილად იმოქმედებს. ანუ, ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ 26 მაისის შედეგები პოლიტიკურ პროცესზე გარკვეულწილად აისახება.

**– ვითარებაში, როცა ხელისუფლება პოლიტიკურ სივრცესა და პროცესს რეალურად აკონტროლებს და პოლიტიკური შეჯიბრისათვის არასაკმარისი სივრცის პრობლება რეალურია, გადაჭარბებული ხომ არ არის იმის მოლოდინი, რომ 26 მაისის შედეგები პოლიტიკურ პროცესზე რეალურად აისახება?**

– რაც შეეხება იმას, რომ ხელისუფლება პოლიტიკურ სივრცეს აკონტროლებს, ეს ისეთი რეალობაა, რომლის გადალახვა ხალხსა და პოლიტიკურ ძალებში შესაბამისი ნების არსებობისას, შესაძლებელია. ჩვენში არსებობს ტელევიზიები და პრესა, რომლითაც საზოგადოებას აქვს ალტერნატიული ინფორმაციის მიღების საშუალება. აბსოლუტურად ტოტალიტარულ ქვეყნებშიც კი, ინტერნეტის გამო ველარ ხერხდება ინფორმაციის დამალვა. ამიტომ, ოპოზიციის მხრიდან იმაზე ჩივილი, რომ მათ თავისი მოსაზრებების საზოგადოებისათვის გაცნობის საშუალება არა აქვთ, სწორი არ იქნებოდა. თუ ოპოზიცია საზოგადოებას რამე სერიოზულს შესთავაზებს, იქნება უფრო თანმიმდევრული, მეტად ინტელექტუალური, მიზანდასახული და ასე შემდეგ, მას შეუძლია ხელისუფლებას აჯობოს კიდეც. ფაქტია, რაც უფრო დიდხანს არის ხელისუფლებაში ესა თუ ის ძალა, მისი დეგრადაცია ხდება. ოპოზიციას ყოველთვის აქვს საშუალება ახალი იდეები შესთავაზოს საზოგადოებას და ხელისუფლებას აჯობოს. ამისთვის კი საჭიროა დავივიწყოთ ფიქრი ჯოხებზე, ქვებზე და არაკონსტიტუციურ მოქმედებებზე.

**– რამდენად წარმატებული შეიძლება აღმოჩნდეს „რვიანის“ მცდელობა, რეალურად გაუმჯობესდეს საარჩევნო კანონმდებლობა და საარჩევნო გარემო? საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს პროცესი შემოდგომისთვის, ანუ იმ პერიოდისათვის გადაიდება, როდესაც უკვე ბევრი პრინციპული და მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა ვერც მოხერხდება...**

– მგონია, რომ კომპრომისი მიღწეული იქნება. ისეთი თამაში, როდესაც მხოლოდ ერთი მხარე არის მოგებული, ალბათ, არ გამოვა. ხელისუფლებასაც აქვს საზოგადოებაში საკმაოდ მაღალი მხარდაჭერა, რის გამოც იგი ოპოზიციის ყველა მოთხოვნას იოლად არ დათანხმდება. მაგრამ მოლაპარაკებებზე კომპრომისი აუცილებლად შედგება. ჩემი აზრით, 26 მაისის ექსტრემისტულმა გამოხტომებმა ოპოზიციის რესურსი სერიოზულად დააზარალა. 26 მაისის მოვლენებმა გარკვეულწილად, აქციების დისკრედიტაცია გამოიწვია. ოპოზიციურ „რვიანს“ საპროტესტო აქციები შეიძლება გამოეყენებინა სიმპათიური და მშვიდობიანი მოთხოვნებისათვის, მაგრამ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის ხელისუფლებაზე ზეწოლის რესურსი ოპოზიციამ დაკარგა. ნებისმიერი ასეთი აქცია საზოგადოებაში აღქმული იქნება, როგორც დესტაბილიზაციის მორიგი მცდელობა.

რაც შეეხება იმას, რომ პროცესის შემოდგომაზე გადატანის შემთხვევაში, ვერ მოესწრება მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა, როგორც სიების თემაა, არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ სიები ძალიან გაყალბებულია, მე არ მაქვს. არა ვარ დარწმუნებული იმაში, რომ საარჩევნო სია იმდენად გაყალბებული და უვარგისია, რომ ამ სიებით სამართლიანი არჩევნების ჩატარება შეუძლებელია. შესაძლოა, ეს საკითხები უკეთ იციან იმ ოპოზიციურმა ძალებმა, რომლებიც მოლაპარაკებებში მონაწილეობენ და ამ მიმართულებით წავიდნენ კომპრომისზე. ეს კი ნიშნავს, რომ არსებული სიებითაც შესაძლებელია სამართლიანი არჩევნების ჩატარება და წარმატებების მიღწევა.

**კობა ბენდელიანი**



**◉ პრესკონფერენცია**

# დედაქალაქის საკრებულო ამ ქალაქის მცხოვრებთა უფლებებს უნდა იცავდეს



**რესპუბლიკური პარტიის დედაქალაქის საქმეთა მდივანმა, საკრებულოს წევრმა თინა ხიდაშელმა თბილისის საკრებულოში პრესკონფერენცია გამართა. თინა ხიდაშელი: „ერთი კვირა გავიდა საკრებულოს ბოლო სხდომიდან, სადაც მე ვითხოვდი კომისიის შექმნას 26 მაისის მოვლენების გამოსაკვლევად. კომისიის შექმნაზე უმრავლესობის მხრიდან უარის თქმის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ადამიანის უფლებათა კომისია გაერკვეოდა ამ საკითხებში. დღემდე ადამიანის უფლებათა კომისიის სხდომა ხსენებულ საკითხებზე არ გამართულა.**

რესპუბლიკური პარტია მოითხოვს, კომისიამ შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები და საკრებულოში სპეციალური სხდომა მიეძღვნას 26 მაისის მოვლენებს. ჩატარდეს მოსმენა, სადაც დაბარებული იქნება ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსი და პასუხს გასცემს ოპოზიციის ყველა კითხვას. იმედს ვიტოვებ, რომ კითხვები უმრავლესობის წარმომადგენლებსაც აქვთ.

გასარკვევი და გამოსაძიებელი ძალიან ბევრია, განსაკუთრებით გარდაცვლილებთან და ძალის გამოყენების მეთოდებსა და ფორმებთან დაკავშირებით.“

რესპუბლიკური პარტია, ასევე, კატეგორიულად მოითხოვს, შინაგან საქმეთა სამინისტროსგან პასუხს იმ ფაქტზე, რომ მათ 6 ივნისს სრულიად კანონიერი აქციის ჩატარების მცდელობა აღკვეთეს. აბსოლუტურად მშვიდობიან და უმტკივნეულო გარემოში ადამიანებს არ მისცეს უფლება, რომ პლაკატი გაეშალათ და აქცია ჩაეტარებინათ იმ „დიდი ზეიმის“ ფონზე, რომელიც მიმდინარეობდა იმ დროს ქალაქში.

ეს ფაქტი კლასიკური მაგალითია, რას არ უნდა აკეთებდეს პოლიცია მშვიდობიანი აქციის მონაწილეებთან მიმართებაში, – აღნიშნა თინა ხიდაშელმა.

„ლაშა ჩხარტიშვილი დააკავეს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა ადამიანებმა. მათ არ ჰქონიათ არანაირი ნიშანი, რომ პოლიციელები იყვნენ. გაუგებარია, რატომ უნდა დამორჩილებოდა მათ ბრძანებას ლაშა ჩხარტიშვილი, ვინ იყვნენ ისინი და რა კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებდნენ?

ასევე, მოვითხოვ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავიდან ბოლომდე გამოაქვეყნოს ვიდეომასალა, სადაც ასახულია თუ როგორ, რა ვითარებაში, რა ტერიტორიაზე დააკავეს ლაშა ჩხარტიშვილი.

მოვითხოვთ, გამოქვეყნდეს სასამართლოს სხდომის ჩანაწერი, რომელიც ასევე, აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს. საინტერესოა, რა მტკიცებულებების საფუძველზე შეუფარდეს მას ადმინისტრაციული პატიმრობა, ხოლო ადამიანებს – ადმინისტრაციული ჯარიმა?“

თინა ხიდაშელი მოითხოვს, ქალაქის საკრებულო და ადამიანის უფლებათა კომისია ერთხელ მაინც დაინტერესდნენ, რა ხდება იმ ქალაქში, რომელზეც მას კომპეტენცია აქვს. დედაქალაქის საკრებულო უნდა იცავდეს ამ ქალაქში მცხოვრებლების უფლებებსო.

**„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ის, რაც 26 მაისს რუსთაველის გამზირზე მოხდა, სრული განუკითხაობაა. ამ განუკითხაობაზე პასუხი უნდა აგონ“,** – დასძინა ხიდაშელმა.

**ნატა ნიბლაძე**

**◉ თანამშრომლობა**

# საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ბრიტანეთიდან უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში მრჩეველი გამოიგზავნება

**ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა საერთაშორისო უსაფრთხოების სტრატეგიის საკითხებში ჯერალდ ჰოვარდმა საქართველოს თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიასთან და სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.**

**როგორც „პირველს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, ჯერალდ ჰოვარდის საქართველოში ვიზიტის ძირითად მიზანს ქვეყნებს შორის თავდაცვის სფეროში ურთიერთობების გაღრმავება წარმოადგენს.**

**სამინისტროში ჰოვარდს ბაჩო ახალაიამ უმასპინძლა. მხარეებმა რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, საქართველოს ნატოში ინტეგრაციასა და თავდაცვის უწყებაში მიმდინარე რეფორმებზე იმსჯელეს.**

**„მოხარული ვარ საქართველოში ვიზიტით. მინდა, კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა ბრიტანეთის მხარდაჭერას საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრების გზაზე. ბრიტანეთი ნატოში გაწევრებისთვის საჭირო რეფორმების გასატარებლად საქართველოს დახმარებას კვლავ განაგრძობს. დღეს სიამოვნებით მინდა, განვაცხადო, რომ ბრიტანეთიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამუშაოდ უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში მრჩეველი გამოიგზავნება. საქართველო რჩება ბრიტანეთის მნიშვნელოვან მეგობრად. ჩვენ ერთმანეთის მხარდამხარ ვიბრძვით ავღანეთში და მინდა, მადლობა ვუთხრა ქართველ ხალხს იმ მსხვეპლისთვის, რომელსაც ის მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად იღებს“– განაცხადა ჰოვარდმა.**

**„პირველი“**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ჟურნალისტური გამოძიება

***საქართველოში კორუფცია თანამდებობის განუყოფელი ნაწილია. ამიტომაც არის წეწვა-გლეჯა სკამისთვის, რომელსაც გარანტირებული უზრუნველყოფა, უკანონო მილიონების შოვნა მოჰყვება. ამჟამად, ეს სისტემა კორუფციასთან ბრძოლით წვრილმან მექრთამეთა ხმაურიან-პომპეზური დაჭერების ფონით ინიღბება.***

***ჩვენი ჟურნალისტური გამოძიებით გვინდა ვაჩვენოთ უკვე დამკვიდრებული კორუფციული მოდელი, სადაც სუფთა ბიზნესის კეთება შეუძლებელია ჩინოვნიკთა წილებში ჩაუჯდომლად.***

# ფარული ომი წილების გადასანაწილებლად,

## ანუ რა ხდება წლების მანძილზე თბილისის მერიაში

მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, მაგრამ ეს ამბავი 1991-92 წლების თბილისის ომის შემდგომი პერიოდიდან იწყება, როდესაც დანგრეული დედაქალაქის აღდგენის კეთილშობილური საქმე ხელოვნურად შეჩერდა და თბილისის მერიის ბიზნესად იქცა.

მოვლენათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ თბილისის მერიის ხელმძღვანელობის ყოველ ახალ შეცვლას თან სდევდა ბიზნესზე კონტროლის სურვილი, წილების გადანაწილება და სხვა უკანონო, არასამართლებრივი ქმედებები.

თბილისის ცენტრის ნგრევის მასშტაბის განსაზღვრისთვის შექმნილი საინიციატივო ჯგუფისთვის (ქალაქის მთავარი არქიტექტორი – ი. მასხარაშვილი, არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე – ლ. ბოკერია, მდივანი – ლ. ვარდოსანიძე, არქიტექტორები: გ. ბათიაშვილი, ვ. ქურთიშვილი, მხატვარი – გ. ალექსი-მესხიშვილი, თსსა კათედრის გამგე – მ. ჩხენკელი, მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი – გ. ხომერიკიძ ნათელი გახდა, რომ აღდგენითი სამუშაოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის მწირი სახსრები საკმარისი არ იქნებოდა და აუცილებელი იყო უცხოური კაპიტალის მოზიდვა. ამისთვის კი უნდა ჩამოყალიბებულიყო კერძო სამართლის იურიდიული პირი.

1993 წლის 23 აპრილს სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის მიერ ჩატარებულ თათბირზე განიხილეს საკითხი **„ქ. თბილისის საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რიგი გადაუდებელი პრობლემების შესახებ“**, სადაც გადაწყდა სააქციო საზოგადოების შექმნა. ს/ს „თბილისი სიტის“ მერიის წილი განისაზღვრა განადგურებული ქონებით: სასტუმრო „თბილისის“, მხატვრის სახლისა და თავისუფლების მოედანზე არსებული შენობებით. ამ სიას მერიამ დაუმატა დაკონსერვებული ობიექტები: საინჟინრო ლაბორატორია (გოთუას №7ძ, საარბრიუკენის მოედანი №2, მთაწმინდის პლატოს ზედა სადგური, მარჯანიშვილის ქუჩაზე მშენებარე ორი შენობის მიწისქვეშა და პირველი სართულები, რესტორანი „ბერიკონი“, რამაც ს/ს „თბილისი სიტის“ საწესდებო კაპიტალის 33% შეადგინა, ხოლო 67% აქციონერთა შენატანებით უნდა შევსებულიყო, თანაც წილები მერიის სამსახურებმა განსაზღვრეს.

მოგვიანებით გაირკვა, რომ მარჯანიშვილის ქუჩის ობიექტები და „ბერიკონი“ ადრე იყო გასხვისებული და ამიტომ ისინი ს/ს „თბილისი სიტის“ ქონებაში აღარ შევიდნენ, მაგრამ 33%-იანი წილი რატომღაც უცვლელად დარჩა. უნდა ითქვას, რომ ქონების სრული გადაცემა მხოლოდ 1996 წელს მოხდა. ამ წელს, სხვადასხვა ქვეყნის 73 კომპანიასთან მოლაპარაკების შემდეგ, მოხერხდა ამერიკულ ფირმა „ბობ უოლშ ენთერპრაიზერთან“ სამი ერთობლივი საწარმოს: „ჯი-ემ-თი უძრავი ქონების“, „ჯი-ემ-თი სასტუმროების“, „ჯი-ემ-თი მთაწმინდის“ ჩამოყალიბება.

ამ პერიოდიდანვე იწყება ხელისუფლების ნეგატიური დამოკიდებულება და „ს/ს „თბილისი სიტის“ მუშაობა შეამოწმა პარლამენტის ანტიკორუფციულმა კომისიამ (თავმჯდომარე – გ. ბარამიძეძ, თბილისის საგადასახადო ინსპექციამ (1996, 1999ძ, საქართველოს გენპროკურატურამ (2001ძ, მთაწმინდა-კრწანისის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ (2002ძ. ყველა დასკვნაში დადასტურებულია ს/ს „თბილისი სიტის“ კანონიერი ფუნქციონირება, მაგრამ აღნიშნულია ხარვეზი რესტორან „მთაწმინდის“ გადაცემისას, რომლის კორექტირებას მერიამ თავი აარიდა. სამაგიეროდ, საინვესტიციო პროცესის დაწყებისას მერია ზეწოლას ახორციელებდა საწესდებო კაპიტალში თავისი წილის გასაზრდელად. ამ პროცესის ჩაშლის თავიდან ასაცილებლად, კერძო აქციონერები იძულებულნი გახდნენ თავიანთი წილები დაეთმოთ, რის შედეგადაც მერიის წილმა 2002 წლისთვის 50,1% შეადგინა.

ვითარება დაიძაბა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ მიხეილ სააკაშვილის მოსვლის შემდეგ. „ვარდების რევოლუციას“ მოყოლილმა ხელისუფლებამ


ყოფილი სასტუმრო „თბილისი“

წარმატებით გააგრძელა აქციონერთა შევიწროება. 2003 წლის 5 თებერვალს, სარევიზიო კომისიის სხდომის დაწყების წინ გ. ხომერიკმა მიმართა კომისიის თავმჯდომარეს ი. ოქრუაშვილს, რომ ექსპერტ ი. ღვალაძის დასკვნაში „თბილისი სიტის“ შესახებ უხეში შეცდომები იყო დაშვებული, რაც ფაქტების დამახინჯებაში, არასწორ ინტერპრეტაციასა და სუბიექტური დასკვნების გამოტანაში გამოიხატებოდა. ი. ოქრუაშვილიც დათანხმდა, რომ კომისია არ შეუდგებოდა მუშაობას დოკუმენტური განხილვის გარეშე, მაგრამ სხდომათა დარბაზში სენსაციებისა და სკანდალების მოყვარულმა ი. ოქრუაშვილმა კაცური პირობა დაარღვია და მასმედიისთვის მკვეთრად დილეტანტური განცხადება გააკეთა თითქოსდა არსებული დარღვევების შესახებ. 18 მარტის საკრებულოს №9 გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი „თბილისი სიტისთვის“ აღსადგენი შენობების და მათზე დამაგრებული მიწების გადაცემის ხელშეკრულებები, რაც ამერიკულ კომპანიებთან მუშაობის შეწყვეტას ნიშნავდა. ეს უკანონო გადაწყვეტილება ამერიკული მხარის სარჩელის საფუძველზე სასამართლომ ბათილად ცნო, რის გამოც 2005 წლის 30 მაისს მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით, მერიამ და საკრებულომ დავაზე უარი თქვეს, ვინაიდან ინვესტორი ზიანის სოლიდურ ანაზღაურებას მოითხოვდა. ასეთი დაუფიქრებელი ნაბიჯის შემდეგ, იერიში ქართველ პარტნიორთა წინააღმდეგ გაგრძელდა.

2005 წლის 4 ნოემბერს, თბილისის ქონების მართვის სამსახურის უფროსის ლევან ალაფიშვილის კაბინეტში ჩატარდა ს/ს „თბილისი სიტის“ აქციონერთა საერთო კრება, სადაც მერიის მიერ დანიშნულმა სამეთვალყურეო საბჭომ აქციონერებს თავხედურად მოსთხოვა შპს „ჯი-ემთი უძრავი ქონების“ და „ჯი-ემ-თი სასტუმროების“ 35%-იანი, შპს „ჯი-ემ-თი მთაწმინდის“ 40%-იანი წილების მერიისთვის უსასყიდლოდ გადაცემა. თანაც, ლ. ალაფიშვილმა დაუფარავად განაცხადა, რომ მათი წინააღმდეგობის მიუხედავად, გადაწყვეტილება მაინც მერიის სასარგებლოდ იქნებოდა მიღებული. პროტესტის ნიშნად აქციონერებმა კრება დატოვეს, მაგრამ ოქმში მაინც ჩაიწერა მათი წილების უსასყიდლოდ გადაცემა. საყურადღებოა, რომ კანონით „მეწარმეთა შესახებ“, მერიას უფლება არ ჰქონდა თავისი ხმა საკუთარ თავთან გარიგების დასადებად გამოეყენებინა.

ამ უკანონობის აღსაკვეთად, აქციონერებმა 2005 წლის 17 ნოემბერს სასამართლოს მიმართეს მერიისთვის წილების დათმობის ყალბი ხელშეკრულების გაფორმების ასაკრძალად. ეს მოთხოვნა მოსამართლე ი. მარიამიძემ დააკმაყოფილა, მაგრამ მანვე 15 დეკემბერს, მერიის მოთხოვნით თავისივე განჩინება გააუქმა.

2006 წლის 6 იანვარს აქციონერებმა განცხადებით მიმართეს თბილისის მერსა და პრემიერს ამ უკანონო გადაწყვეტილების შესახებ, რაც უპასუხოდ დარჩა. ამიტომ 15 თებერვალს აქციონერებმა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს, თუმცა თბილისის საკრებულოს კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მითვისებული სადავო წილების გასხვისების შესახებ, რისი უფლებაც სასამართლოს დამთავრებამდე არ ჰქონდა.

2008 წლის 7 ნოემბერს მოსამართლე თეა სოხაშვილ-ნიკოლაიშვილის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ 2005 წლის 4 ნოემბრის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისის მერიისა (50,1%ძ და ბანკ „რესპუბლიკის“ (1.8%ძ წარმომადგენლები, რომელთა 50%-ზე მეტი ხმა, ანუ 51,9% საკმარისი იყო გადაწყვეტილების მისაღებად. თუმცა მოსამართლემ რაიმე მტკიცებულების უქონლობის გამო, საკუთარი ვარაუდით იხელმძღვანელა და მიიჩნია, რომ მოსარჩელე აქციონერებს თურმე არ ჰქონდა კრების ბათილობის იურიდიული ინტერესი და მერიას რომც არ მიეღო მონაწილეობა კენჭისყრაში, კრების მონაწილე აქციონერთა აქციები (საერთო 15, 3% წილიძ ვერ უზრუნველყოფდა საქმის მათ სასარგებლოდ გადაწყვეტას. სარჩელიც ამ მოტივით არ დააკმაყოფილა.

სამწუხაროდ, მოსამართლემ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ბანკ „რესპუბლიკის“ წარმომადგენელს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია (რაც დასტურდება კომერციული დირექტორის ი. ასლანიშვილის 5. 03. 2008, №041,2/06 წერილითძ, რითაც მერიამ ერთპიროვნული გადაწყვეტილებით საკუთარ თავს აჩუქა ს/ს „თბილისი სიტის“ ქონება.

დავამ უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლა, თუმცა ორი წელია განხილვა არ ჩატარებულა. სავარაუდოა, რომ მერიის უკანონობას სწორი სამართლებრივი შეფასება არ მიეცემა და კიდევ ერთხელ გამოჩნდება კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების შელახვა.

**თბილისის მერიამ ს/ს „თბილისი სიტის“ აქტივები თითქმის მინიმუმამდე შეამცირა. ამასთანავე კომპანიას დაუგროვა სახელმწიფოს ვალები. ყოველივე კი დაგვირგვინდა 2009 წლის 29 ივლისის აუქციონით, სადაც მერიამ ს/ს „თბილისი სიტის“ თავისი კუთვნილი აქციები გაასხვისა. მყიდველი აღმოჩნდა ლიხტენშტეინში რეგისტრირებული კომპანია „ჩომპუტრონ ინდუსტრიეს ესტაბლისმენტ“, რომლის დირექტორის – სომხეთის მოქალაქე არა ალექსანიანის ასავალ-დასავალი აქციონერებმა ვერ იპოვეს. ეს კი ეჭვს ბადებს, რომ ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიის უკან ქართველი ჩინოვნიკები დგანან.**

გუბაზ მეგრელიძე


თბილისის დანგრეული ცენტრი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

გაყრა

**„ქართული პარტიიდან“ ოთხეულის — გაჩეჩილაძე, გუნცაძე, მიქაია, ჩიკვილაძის წასვლით „გაყრის“ პროცესი არ დასრულებულა. პოლიტიკური „განქორწინება“ ორ „ფრონტზე“ გაიშალა, თანაგუნდელებმა ერთმანეთს უსტარებით უთხრეს სათქმელი. წამოსულებმა პარტიის თავმჯდომარეს მოკლე განცხადებით შეატყობინეს წავედითო, დარჩენილებმაც განცხადებით უპასუხეს — გზა დაგვილოცნიაო. ეს საჯაროდ, პარალელურ რეჟიმში კი კულუარებში ბრძოლამ სერიოზული და სახიფათო სახე მიიღო.**

**ყველაზე მთავარი: ლევან გაჩეჩილაძის ცოლის ნინო მიქელაძის დეიდაშვილის მაკა ასათიანის ქმარმა კოტე გოგელიამ ოქრუაშვილთან დარჩენა ამჯობინა. რა მოხდა პარტიაში და რა ინფორმაცია გამოიტანა პარტიის კულუარებიდან პრესაგე.ტვ-მ, ამის შესახებ მოვლენათა ქრონოლოგიას შემოგთავაზებთ:**

ოქრუაშვილის პარტიაში განხეთქილება 21-26 მაისის აქციებამდე გაცილებით ადრე დაიწყო. ახლა „განდგომილები“ „მესიას“ და „ლიდერს“, ანუ ოქრუაშვილს და კიწმარიშვილს იყენებენ პირსახოცად, სინამდვილეში კი, ამ განხეთქილების თავი და თავი კოკა გუნცაძე იყო, რომელმაც ოქრუაშვილის გარემოცვაში „მეორედ მოსვლის ჟამს“ პირველსავე დღეს შექმნა პრობლემა.

როგორც პარტიაში ამბობენ, ნეპოტიზმით დაავადებულ გუნცაძეს, ვისთვისაც გამარჯობა ეთქვა, ყველა „ქართულ პარტიაში“ შეყარა, ამით პარტმუშაკების რიცხვი გაზარდა და ხალხის მომგროვებლის იმიჯი შეიქმნა, მაგრამ გუნცაძის შიდა სამზარეულოში აწეულ იმიჯს ლამის, ჯერ კიდევ ჩანასახში მყოფი პარტია ემსხვერპლა.

გუნცაძის ერთ-ერთი რჩეული გაპარტიულებიდან ორ დღეში ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს და მისთვის მიძღვნილი სიუჟეტები მთელი სამი დღე ტელევიზიებიდან არ ჩამოსულა. სწორედ მაშინ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს პარტიული „მესია“ და მისი „ხელქვეითი“ გუნცაძის „მფარველი ანგელოზი“ ლევან გაჩეჩილაძე. ოქრუაშვილმა გუნცაძის პარტიიდან გაგდება მოითხოვა, მაგრამ მისი „პირადი კონტროლი“ გაჩეჩილაძემ აიღო თავზე — პლეხანოველი კაცია, ყველა იცნობს და თბილისის ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში ლომის წვლილს შეიტანსო, ეგეც რომ არა, ახლა გუნცაძის გაგდება სკანდალს ნიშნავსო.

მოკლედ, გუნცაძე პარტიას და პარტია გუნცაძეს ხახვივით შერჩა. შემდეგი დაპირისპირება გრეჩიხა-ოქრობიჭს შორის პარტიის თბილისის ორგანიზაციის დაფუძნების შემდეგ დაიწყო, როცა გაირკვა რომ გუნცაძეს (პარტიის გენმდივანს და თბილისის ორგანიზაციის კურატორსძ სინამდვილეში პარტიულების ყალბი სიები ქონდა გაკეთებული და სინამდვილეში, არანაირი თბილისური პარტმუშაკები არ არსებობდნენ, ოქრუაშვილმა უკვე საბოლოოდ განაცხადა — ან მე ან გუნცაძე!

ამ დროს აგორდა „გრეჩიხას“ წინააღმდეგ სკანდალი - ბურჯანაძე-ბიწაძე სააკაშვილისგან ფულის გადახდის ფაქტებზე ალაპარაკდნენ.

ოქრუაშვილმა უკან დაიხია და ანგარიშსწორება გადადო. მერე იყო გაჩეჩილაძე-ბიწაძის ხელჩართული ბრძოლა და ისევ გადაიდო „წმენდა“. ერთ „მშვენიერ დღეს“ ინფორმაცია გავრცელდა — გუნცაძე პარტიიდან გააგდესო და მიზეზიც დასახელდა, ფულის „შეჭმა“ და არშემდგარი თბილისის ორგანიზაცია.

კოკა გაუშვეს, რასაც პარტია კარგა ხანს საგულდაგულოდ ასაიდუმლოებდა, ჯერი გაჩეჩილაძეზე მიდგა, მაგრამ ლევან გაჩეჩილაძე ასე ადვილად ვერ წავიდოდა პარტიიდან. როგორც ამბობენ, ამ „მუშტიკრივის ოსტატს“ პარტიული ფინანსებიდან ძალიან ბევრი (ზოგმა ნახევარი მილიონიო, ზოგმა — ცოტათი ნაკლებიოძ მიუთვისებია. საქმის გარჩევა ამას მოყვა, მაგრამ „გრეჩიხას“ იმ მომენტში არჩევანი არ ქონდა, ვერსად წავიდოდა, საქმის გახმაურება არც ოქრუაშვილს აძლევდა ხელს და უკვე შიდაპარტიული გარჩევები დაიწყო. ასე მივედით 21-26 მაისის აქციებამდე. გაცხადდა, რომ ოქრუაშვილი თბილისში ჩამოვიდოდა, რაც თავადაც დაადასტურა და თარიღიც დაითქვა — 25 მაისი.

25 მაისამდე კი ოპოზიციური სპექტრი აკეთებს განცხადებას — ოქრუაშვილის საქართველოში ჩამოსვლა სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასიაო. ოქრუაშვილმა უკან დაიხია, ყველას ვერ მოსთხოვ გმირობას, მით უმეტეს ერთხელ ბოდიშს, რომ მოიხდი...

გაჩეჩილაძემ ამით ისარგებლა და პარტიიდან გაიქცა. ზოგადად ყველაზე მომგებიანი ნაბიჯი თავისი „პოლიტიკური“ მოღვაწეობის პერიოდში გაჩეჩილაძემ ამჯერად გადადგა. ლევანმა მართლა სწორად გათვალა და ოქრუაშვილს ყველაზე დიდი დარტყმა იმით მიაყენა რომ „ზვიადისტობაში“ ჩარჩენილი კახა მიქაია სამეგრელოიანად წაართვა. მიქაიასთან ერთად პარტია დატოვეს ყოფილმა მხედრიონელმა ვახტანგ ბეგიაშვილმა, სამხედრო საბჭოს ყოფილმა წევრმა, მეტსახელად „პიჟონამ“, რომელსაც სხვათა შორის, „განდგომილების განცხადებაზე“ ხელი არ მოუწერია (ან არ მოუწერია, ან ძალლად არ ჩააგდეს, ან მეხუთეობა არ იკადრაძ.

რის იმედად წავიდა ლევან გაჩეჩილაძე ოქრუაშვილის პარტიიდან, რომლის ოფისი ამ ბოლო დროს პარტიაში დარჩენილებმა ქაჯეთის ციხე-სიმაგრედ აქციეს — არც არავის უშვებენ ოფისში და თავადაც ჩურჩულით ელაპარაკებიან ერთმანეთს — აქაოდა „ჟუჩოკები“ ხომ არ დაგვიმონტაჟესო.

აქვე გავიხსენებთ ერთ ისტორიას — ლევან გაჩეჩილაძეს ხელში ჩაუვარდა კიწმარიშვილ-ოქრუაშვილის მიმოწერა, რომელზეც მოგვიანებით მედია წერდა, მაგრამ ჩვენთვის დეტალურად გახდა ცნობილი, რომ მიმოწერა გაჩეჩილაძემ კოტე გოგელიას დისკით გაუგზავნა შვეიცარიაში — „ნახე, რეებს წერენ ერთმანეთს ჩვენზე და როგორ ანგრევენ პარტიასო“.

გოგელიამ კი გაჩეჩილაძეს შემოუთვალა — „შენი სიმამრის ქონება ხომ გაატანე ბანკების ვალს, ახლა რა გინდა, გგონია ჩემს ქონებას ჩავდებ შენს სასარგებლოდ და თავს გაგაკოტრებინებ? ან, ეს დისკი რაში მაინტერესებს, ან — ვინ ვის რას ელაპარაკებოდა? სკაიპის გატეხვა და მოსმენები კაცობა გგონია? მე ისედაც ვიცი რა ხდება და არ გეგონოს მხარს დაგიჭეროს“.

ეს გაჩეჩილაძისთვის დიდი დარტყმა იყო, თუნდაც იმიტომ, რომ გაჩეჩილაძე თავის მომხრეებს აიმედებდა, გოგელია დაგვაფინანსებს და ოქრუაშვილთან შიშით ყოფნას, ჩვენთვის ვიყოთ ის სჯობსო!

ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ გოგელიამ ოქრუაშვილთან ერთად მოაწერა „გრეჩიხასთან“ გამოსამშვიდობებელ განცხადებას ხელი. ვის იმედზე დარჩა გაჩეჩილაძე და მისი წრე, არავინ იცის, შესაძლოა, ეს ლევან ჩიკვილაძეც იყოს, რომელიც ასევე „განდგომილების“ განცხადებას აწერს ხელს და დღემდე ამერიკაშია, როგორც ამბობენ, ძალიან მდიდარი ცოლიც ყავს. ეს ის ჩიკვილაძეა, რომელმაც ჯერ კიდევ ოქრუაშვილის პარტიელი რომ იყო, მაშინ ამერიკიდან აფრინა უსტარი, ვილაცამ დამირეკა და ნებისმიერი გავლენიანი თანამდებობა შემომთავაზა, ოღონდ ოპოზიციაზე ცუდი თქვიო.

ეს ზარი მართლა განხორციელდა თუ არა, არავინ იცის, მაგრამ მაშინ პარტიამ პარტიული „ოქროს პერანგი“ ტანზე შემოიხია — არიქა, ჩვენს თანაპარტიელს ემუქრებიან და მისი გადაბირება უნდათო. თუ ამ კაცის ფულის იმედად წავიდნენ ოქრუაშვილისგან გაჩეჩილაძე და მისი მომხრეები და ასე აპირებენ „დიდი ერთობის გაკეთებას“, სხვა თემაა, მაგრამ ფაქტია, რომ მათ ბევრი კოზირი უკავიათ ხელში — სამეგრელო, თბილისის 4 რაიონული ოფისი და ნაცემი კიწმარიშვილის მაგალითი.

# გოგელია — ოქრუაშვილს, გუნცაძე — გაჩეჩილაძეს



მართალია კოკა გუნცაძე, ვახო ბეგიაშვილი და კიდევ რამდენიმე კაცი მოულოდნელად შევარდა კიწმარიშვილის ოთახში, უთქმელად დაარტყეს და დაესივნენ, მაგრამ ეს ხომ ყველამ არ იცის? ფაქტია — ეროსი ნაცემია, „განდეგილები“ ამბობენ, რომ ეროსი იმიტომ იცემა, თანაპარტიელებს დიქტოფონით იწერდა ჩუმად... რკინის არგუმენტებია და „გასაჩივრებასაც“ კი არ ექვემდებარება.

არავინ იცის ისიც, რომ ეროსის გალახვამდე გრეჩიხას თავისი მარჯვენა ხელი ტატო კარგაძე, რომელიც თბილისის ოფისს ხელმძღვანელობდა, გაულახეს და გაულახეს ქალებმა. მოკლედ, კარგაძეს, როგორც ჩანს, პარტიიდან ხალხის გადმობირება დაავალეს და ჰოდა, კარგაძემ დაურეკა საბურთალოს ოფისის ხელმძღვანელს, ყოფილ სპორტსმენს, გვარად ფიოლიას (სახელი, სამწუხაროდ, აღარ მახსოვსძ. ეს ქალბატონი თავის დროზე კოკამ წარადგინა საბურთალოში და თავიდანვე კოკას კადრად მოიაზრებოდა. ჰოდა, ამ ნიშნით დაურეკა კარგაძემ ფიოლიას და უთხრა, გადმოდი ჩვენთანო, მაგრამ უარი მიიღო და გინებაზე გადავიდა.

ფიოლია ის ქალი არაა, ასე ადვილად ვინმემ აგინოს, მას ძალიან დიდ პატივს ცემენ არა მარტო სპორტმენები. როდესაც ფიოლიამ სადაც საჭირო იყო იქ თქვა კარგაძემ მაგინაო, კარგაძეს მეორე დღეს თავყბა გაუერთიანეს! ამ ფონზე ოქრუაშვილს თავი ისევ გენპროკურორი ან მინისტრი ჰგონია და საფრანგეთიდან მესიჯი აფრინა — არ დავინახო კომენტარები გააკეთოთო და ოფისი ქაჯეთის ციხედ იქცა.

ოფისს ოქრუაშვილის დაცვის კუნთმაგარი ბიჭები ისე იცავენ, თითქოს მტერი ეხვეოდეთ გარს. ქუჩაში გამოსულებისგან აღებული შემთხვევითი კომენტარები კი ასეთია — ვაგრძელებთ მუშაობასო. სხვათა შორის, ნარკოტესტსაც თუ ჩაუტარებენ ერთურთს, ესეც კარგი იქნება, ამ მხრივაც გააგრძელონ მუშაობა, ვინ იცის რა დროს გამოადგებათ?

და კიდევ ერთი: გამორიცხული არ არის, მალე პარტიის გახლეჩილი ნაწილები ერთმანეთს რინგზე ისევ შეხვდნენ და პარტიული ქონებისთვის დასცხონ ერთმანეთს. გასაყოფია კომპიუტერები, მაგიდები, სკამები, ავეჯი და ა.შ. სხვათა შორის, ავეჯის ნაწილი გაჩეჩილაძეს „დაიცავი საქართველოდან“ გადმოყვა მზითევში, დანა-ჩანგალი ირაკლიმ დაახვედრა ადგილზე და ახლა კარს საკეტი ვინ გაუკეთა, ამას ძალიანაც რომ მოვინდომოთ, მაინც ვერ გავარკვევთ.

კიდევ ერთი რამ, უფრო სწორად, ვინმე თუ არის გასაყოფი, ეს სოფიკო ხორგუანია, რომელიც თავის დროზე, სოზართან მივიდა. ხორგუანი „ქაჯეთის ციხეშია“ გამოკეტილი და მანქანიდან ისვრის ხოლმე სიტყვებს შიგადაშიგ.

ნანა მაისაშვილი.
Presage.tv

ინფორმაცია

## წვიმამ მცხეთა-მთიანეთი და კახეთი დააზარალა



მცხეთის რაიონში რამდენიმე სოფელში ნათესები მთლიანად გადადგურებულია, მათ შორისაა ახალსოფელი, ნოდაარანთკარი და არაშენდა.

რამდენიმე ოჯახს წყალი სახლშიც შეუვარდა. ჩახერგილია ნოდარაანთკარისკენ მიმავალი გზაც.

გარესამყაროსაა მოწყვეტილი გუდამაყრის 6 სოფელიც. ხანგრძლივი წვიმების შედეგად ადიდებულმა მდინარე არაგვმა კალაპოტი შეიცვალა და სოფლებთან დამაკავშირებელი გზები დატბორა. ძლიერმა წყალმა ჯებირები და ხის ხიდებიც დაანგრია. რამდენიმე სოფლის მოსახლეობას გადაადგილება მხოლოდ ტყის ბილიკების საშუალებით შეუძლიათ.

მცხეთა-მთიანეთის გარდა სტიქიამ საგარეჯოს რაიონიც დააზარალა. დატბორილია ათეულობით საცხოვრებელი სახლის პირველი სართულები და სარდაფები. ადიდებულმა წითლისხევმა დაფარა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. დაზიანებულია ინფრასტრუქტურა. ქუჩებში წყალი პირდაპირ სავალ ნაწილზე მოედინებოდა. შეფერხებული იყო გადაადგილება.

## წვიმამ თბილისში მოქალაქე იმსხვერპლა

თბილისში წუხელ მოსულ ძლიერ წვიმას ერთი ადამიანი ემსხვერპლა. 76 წლის მოხუცი წვიმის შედეგად სახლის ჩამონგრევის მსხვერპლი გახდა.

შემთხვევა გვიან ღამით, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, პეტრე ბაგრატიონის ქუჩაზე მოხდა. ალა კაციტაძესთან ერთად ნანგრევებში მისი მეუღლეც მოყვა, თუმცა მაშველებმა მისი გამოყვანა უვნებლად შესძლეს.

ადგილზე იმყოფებოდნენ გამგეობის წევრები. მათი მტკიცებით, ზონა მეწყერსაშიშად ითვლება, რის გამოც მათ ოჯახს სხვაგან გადაყვანა არაერთხელ შესთავაზეს, რაზეც მოხუცებმა უარი განაცხადეს.

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ანგარიში

# არსებობს მტკიცებულებები, რომ ქართულმა მხარემ ჩაიდინა ომის დანაშაულები 2008 წლის აგვისტოში ცხინვალში შეჭრის დროს

## რა დასკვნა გამოაქვს ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტს?

**ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტმა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს და შემდეგ ჩადენილ დანაშაულებზე ანგარიში გამოაქვეყნა და გამოძიება არასრულყოფილად მიიჩნია. ომის დროს ჩადენილი დანაშაულების დოკუმენტების მომზადებისას ის აქტიურად თანამშრომლობდა სამ ქართულ უფლებადამცველ ორგანიზაციასთან — ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან, კონსტიტუციის 42-ე მუხლთან და ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრთან.**

თითქმის სამი წელიწადი გავიდა აგვისტოს რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, მაგრამ კითხვის ნიშნები ჯერ არ მოხსნილა. არადა მრავალი წყაროს საფუძველზე შეგროვებული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ კონფლიქტის დროს მძიმე დანაშაულები ჩაიდინეს, მათ შორის ომის დანაშაულები და დანაშაულები კაცობრიობის წინაშე...

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ აღნიშნული დანაშაულების განხილვა მის მანდატში ჯდება, ამიტომ ამჟამად ახორციელებს საქართველოსა და რუსეთში აღნიშნული დანაშაულების ადგილობრივ მონიტორინგს. ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის განმარტებით, თუკი სასამართლო დაადგენს, რომ მხარეებს არა აქვთ უნარი ან სურვილი, ეფექტიანად გამოიძიონ დანაშაულები, მაშინ მას შეუძლია საკუთარ თავზე აიღოს სამართლიანობის დადგენა და გამოძიება დაიწყოს. თუმცა ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის განცხადებით, იმის მიუხედავად, რომ მხარეების მტკიცებით ადგილობრივ დონეზე თითქოს გამოძიება მიმდინარეობს, არსებობს საფუძვლიანი ეჭვები, რომ არც ერთ მხარეს არა აქვს არც უნარი და არც სურვილი ეფექტიანად გამოიძიოს დანაშაულები.

**კომიტეტის ანაგრიშში ნათქვამია, რომ საქართველოსა და რუსეთის მხარეები ევროპელებთან არ თანამშრომლობენ. არც ერთი ქვეყანა დანაშაულს არ აღიარებს და პასუხისმგებლობას მხოლოდ მეორე მხარეს აკისრებს. მართალია, საქართველომ გამოძიება დაიწყო შვიდ საქმეზე, რომლებშიც დამნაშავეები, სავარაუდოდ, ქართული სამხედრო პირები არიან, მაგრამ მთავრობის პოზიცია კვლავ ასეთია: „ჩვენი პასუხი რუსეთის შეიარაღებულ თავდასხმაზე მხოლოდ ჩვენს სუვერენულ ტერიტორიაზე შემოიფარგლა, ეს ზომები იძულებით იყო გამოწვეული. ასევე ქარტიით გათვალისწინებული უფლების მიხედვით — გამოიყენოს ძალა თავის დასაცავად, ჩვენი ქმედებები იყო პროპორციული, აუცილებელი და სრულიად გამართლებული“. რუსეთის გენერალური პროკურორის წერილში კი ნათქვამია, რომ რუსეთი იძიებს მხოლოდ რუსი მშვიდობისმყოფელებისა და რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს. მსგავსი მიდგომა კიდევ უფრო დაუბალანსებელს ხდის რუსულ გამოძიებას, ვიდრე ქართულს. ხოლო რუსეთის პოზიცია ომის შესახებ ასეთია: „რუსეთი თავს არ დასხმია ადგილობრივ მოსახლეობას ან მშვიდობიან მოქალაქეებს“.**

ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მტკიცებით, გამოძიებები ეფექტიანად არ მიმდინარეობს. ანგარიშის ის თავი, რომელიც საქართველოს იურიდიულ ვალდებულებას ეხება, აღნიშნულია, რომ ხელისუფლება თითქმის ყველა შემთხვევაში უარყოფს იმ მტკიცებულებას, რომ ქართულმა მხარემაც ჩაიდინა ომის დანაშაული, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოში ცხინვალში შეჭრის დროს. კომიტეტი წუხს იმის გამოც, რომ საქართველომ ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში 2010 წლის ივლისში შეტანილი ცვლილებებით აკრძალა საერთაშორისო სასამართლოებში, მათ შორის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს საკითხებზე მიმდინარე პროცესების საჯაროობა. ისეთი წარმოდგენა იქმნება, რომ ხელისუფლება ცდილობს, დანაშაულზე პასუხისმგებლობა აირიდოს და ანგარიშვალდებულების პროცესი საჯარო განხილვის ობიექტი არ გახადოს. სწორედ ამ საკანონმდებლო ცვლილებების გამო გვითხრა უარი საქართველოს სამართალდამცველმა სტრუქტურამ ინფორმაციის გაცემაზე და შეხვედრებზე 2010 წლის შემოდგომაზე, — ნათქვამია ანგარიშში.

არადა აგვისტოს ომში ჩადენილი დანაშაულის გამო სტრასბურგის სასამართლოს უკვე მიმართა 244 ადამიანმა. ყველა მოსარჩელე იყო რუსული და სამხრეთ ოსეთის თავდასხმის მსხვერპლი. ქართველი გამომძიებლები ვერ შედიან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, სადაც ყველა სერიოზული დანაშაული იყო ჩადენილი. ამის გამო საქართველოს საშუალება არა აქვს, იქ და რუსეთში, სადაც სავარაუდოდ დამნაშავეები იმყოფებიან, თუნდაც სურვილის შემთხვევაში, გამოიძიოს ზოგიერთი სერიოზული ბრალდება, რომლებიც 2008 წლის ომი დროს წარმოიშვა.

რომის სტატუტის მე-17 (3ძ მუხლი ითვალისწინებს შემდეგს: „იმისთვის, რომ ცალკეულ შემთხვევაში დადგინდეს უუნარობა, სასამართლო ითვალისწინებს, შესწევს თუ არა სახელმწიფოს უნარი (ეროვნული სასამართლოს სისტემის მთლიანი ან არსებითი მოშლის, ან მისი არარსებობის გამოძ, მიიღოს თავის განკარგულებაში ბრალდებული ან საჭირო მტკიცებულება ან ჩვენება, ანდა სხვა მიზეზის გამო არ ძალუძს სამართალწარმოების განხორციელება“. კომიტეტის დასკვნით ევროპული სასამართლოს განმცხადებლების სარჩელების კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია მიანიშნებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას ნაწილობრივ, არც უნარი აქვს და არც სურვილი, აწარმოოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და შემდეგ სავარაუდოდ ჩადენილი საერთაშორისო სამართლის დანაშაულების ობიექტური გამოძიება, რასაც ითხოვს რომის სტატუტის ზემოთ მოყვანილი მუხლი.

**ანგარიშზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ომის გამოძიებაში, ალბათ, ევროპელი იურისტები ჩაერთვებიან. რაც შეეხება, საქართველოს პოზიციას, მას ომზე „უტყუარი“ არგუმენტები აქვს — „აგვისტოს 5 დღის“ სახით...**

თეა მოსია

ბავშვის უფლებაა — მოუსმინონ

# რა პრობლემები აქვთ მოზარდებს და რას ფიქრობენ დიდებზე?!

## სახელმწიფო მხოლოდ წუხილით შემოიფარგლება...

**აქტიური, მიზანდასახული, პირდაპირი, გონებაგახსნილი, — თამამად შეიძლება ასეთი ეპითეტებით შევამკოთ ის ბავშვები, რომლებიც გუშინ სახალხო დამცველის ეგიდით გამართულ კონფერენციაში მონაწილეობდნენ. „ბავშვის უფლებაა — მოუსმინონ“ — ამ თემის ირგვლივ მსჯელობდნენ თბილისელი და რეგიონებიდან ჩამოსული მოსწავლეები, რომლებსაც უსმენდნენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ირინა ქურდაძე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდია, რა თქმა უნდა, შეხვედრას ესწრებოდა თავად სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში.**

ბავშვებმა თითქმის ყველა იმ პრობლემაზე ისაუბრეს, რაც მათ თაობას აწუხებს, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებები, ბავშვთა დაცვა დისკრიმინაციისაგან, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და სხვა.



განსაკუთრებით საგულისხმო იყო ოზურგეთის „ლიდერთა სკოლის“ აღსაზრდელების ანი დოლიძისა და ვერიკო მელუას თემა „ბავშვთა მიმართ ძალადობა და არასათანადო მოპყრობა“. ამ ბავშვების მოხსენებიდან რამდენიმე საინტერესო პასაჟზე გავამახვილებ ყურადღებას: **„ძალადობად აღიქვამენ მხოლოდ ფიზიკურ შეხებას, არადა მას ბევრად უფრო გავრცობითი ხასიათი აქვს, — აღნიშნეს მათ, — მაგალითად, გურიაში სულ 100 სკოლაა, აქედან მხოლოდ 20-გარემონტებული, დანარჩენებში აბსოლუტურად რთული ვითარებაა, თუნდაც ჰიგიენის თვალსაზრისით, ინფრასტუქტურაზე რომ არაფერი ვთქვათ. ზოგიერთი მასწავლებელი ბავშვებს ლანძღავს, წყევლის, თუკი საშინაო დავალება არ აქვთ მომზადებული, თავად პედაგოგებიც ხშირად კინკლაობენ ბავშვების თანდასწრებით საათების განაწილების თუ სხვა პრობლემის გამო... ერთხელ მოსწავლეს სახლიდან შეშა უნდა მოეტანა, ამის გამო საკონტროლო წერაზე დააგვიანა. მასწავლებელმა გაკვეთილის დამთავრებამდე შეშით სავსე ტომრით ფეხზე დააყენა და ასე დასაჯა“.**

გოგონებმა პირდაპირ უთხრეს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ მათ რეგიონებში არსებული მდგომარეობა ნაკლებად აინტერესებთ და მხოლოდ წუხილით შემოიფარგლებიან, რომ მათი დახმარებები არის ფრაგმენტული, რომელსაც შედეგი არ მოაქვს. ამის მაგალითად მოიყვანეს ჭითაძეების ოჯახის ამბავი, რომელსაც ფონდმა „იავნანამ“ სახლი გადასცა. დედამ ოჯახი მიატოვა და შვიდი შვილი უნარშეზღუდული მამისა და ბებიის ანაბარა დატოვა. უფროსი და, რომელიც პატარებს უვლიდა, გათხოვდა, ნაჩუქარი სახლის მომვლელი არავინ გამოჩნდა და ბავშვები კვლავ ქუჩაში აღმოჩნდნენ. მოსწავლეებმა მიუთითეს, რომ საჭიროა პრევენცია და ისეთი დახმარება, რომ ასეთი ოჯახების უზრუნველყოფა მოხდეს. პრევენციაში რას გულისხმობთო? — შეეკითხა ანდრია ურუშაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს ბავშვები ბავშვთა სახლებში გადაანაწილეს და ისინი სოციალური სერვისებით სარგებლობენ, რაზეც მომხსენებლებმა უპასუხეს, რომ ეს სულაც არ არის გამოსავალი — პრევენცია სწორედ ისაა, რომ მათ სათანადო დახმარება მიეცეთ, რათა არ მოხვდნენ ბავშვთა სახლებში და დაძმებმა ერთად ცხოვრება შეძლონო.

თბილისის 32-ე საჯარო სკოლის მოსწავლე ქეთი ლავთაძემ მანდატურის ინსტიტუტზე ისაუბრა. **„მართალია სკოლაში იკლო დანაშაულებმა, მაგრამ იმატა ფსიქოლოგიურმა ძალადობამ. მასწავლებელი მანდატურის მეთვალყურეობის შიშით მუდმივად გაღიზიანებულია, რასაც ბავშვების მიმართ ავლენს ხოლმე. ძალიან ხშირად მანდატურები უხეშად მიმართავენ მოსწავლეებს და უმიზეზოდაც კი წერენ ოქმებს, რაც ბავშვის სკოლიდან გარიცხვის მიზეზიც ხდება. ადგილი აქვს მათი მხრიდან პროვოკაციებს და უფლებამოსილების გადამეტებას. მანდატურები მაღალი მორალური, ადამიანური ნიშნით უნდა შეირჩნენ. სკოლებში ყველა მასწავლებელი როდია პედაგოგიური ღირსებით დაჯილდოვებული და კიდევ სადამსჯელო რაზმის დამატება რა საჭიროა?“** — აღნიშნა მან.

ირინა ქურდაძემ შენიშვნა არ მიიღო: „მანდატურს აქვს უფლება, შეამოწმოს მასწავლებელი, მოსწავლეების დასწრების ჟურნალი და აკონტროლოს დისციპლინა. სწორედ ეს არის ჩვენი საბოლოო მიზანი“, — უპასუხა მინისტრის მოადგილემ, თუმცა ასევე შეჰპირდა ცალკეული ფაქტების საფუძვლიანად შესწავლას.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, პატარა მომხსენებლებმა განსაკუთრებული სითამამით ისაუბრეს იმ ზოგად დუხჭირ სოციალურ ფონზე, რაც ქვეყანაში არსებობს. **„დასაქმების პრობლემა უნდა გადაჭრას სახელმწიფომ. ასეთ შემთხვევაში ნაკლები იქნება სიღარიბე, ოჯახებს სოციალური მდგომარეობა გაუუმჯობესდებათ და შესაბამისად, ბავშვებიც უკეთეს პირობებში ვიცხოვრებთ“,** — აღნიშნა ქუთაისელმა **გვანცა ბეშკენაძემ** ბავშვთა დისკრიმინაციის შესახებ საუბრისას. რაც მთავარია, მოსწავლეები ითხოვენ სკოლებში ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დანერგვას. ფსიქოლოგი უნდა იყოს არა ერთი, არამედ რამდენიმე, რომლებიც სკოლაში ბავშვთა ფსიქოლოგიურ პრობლემებს მოაგვარებენ, — მიუთითეს მათ. თუმცა ირინა ქურდაძის თქმით, ეს მართლაც აუცილებელია, მაგრამ პრობლემაა თავად ფსიქოლოგების ნაკლებობა. თანაც სახელმწიფოს შემუშავებული არა აქვს ის სტანდარტები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს ფსიქოლოგი.

რუსუდან კერვალიშვილმა ბავშვები პარლამენტში მიიწვია: „ყველა თქვენს მოსაზრებას ვიზიარებ. დღეს თქვენ იმ პრობლემებზე მიგვითითეთ, რაც ცხოვრებაში არსებობს. რა თქმა უნდა, ერთ დღეში ყველაფერი ვერ მოგვარდება, მაგრამ ეს ის გამოწვევებია, რაც სახელმწიფოს რეალურად აქვს და თვალის დახუჭვა არ ივარგებს“, — დასძინა მან.

**კონფერენციის მონაწილეებს გადასცეს სერტიფიკატები და საჩუქრები — რამდენიმე საინტერესო ენციკლოპედიური გამოცემა, ჩანთები, მაისურები და სხვა.**

ნია ფიფია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# საოცარი ქვეყანა

როგორ მოხდა ეს არაბუნებრივი მენტალური ცვლილება?

ერის მენტალობა ყალიბდება საზოგადოების ყველა ფენის, თუ შეიძლება ითქვას, კლასობრივ-ფსიქოლოგიური ურთიერთგავლენით. დროთა განმავლობაში რომელიმე ფენა ქრება ან მისი მნიშვნელობა მცირდება, მაგრამ მისი წვლილი ეროვნული ხასიათის შემდგომ განვითარებაში რჩება და განაგრძობს „ფსიქოლოგიურ მუშაობას“.

რუსულმა ბოლშევიზმმა მოახერხა არა მხოლოდ რუსული არისტოკრატიის ფიზიკური განადგურება, მან მოსპო არისტოკრატიის მენტალური კვალიც – გაწყვიტა „ევოლუციური ჯაჭვი“ და სამყარომ იხილა „ჰომო სოვიეტისუს“-ი, რომელსაც არ გააჩნდა მორალური მუხრუჭები, მოკლებული იყო და, ბუნებრივია, სხვებშიც ვერ აღიქვამდა პრესტიჟის ცნებას.

რა გაგებით ვახსენებთ ამ შემთხვევაში პრესტიჟს? არსებითად ეს არის განცდა იმისა, თუ რა პოზიტიურ დონეზე აღიქვამს საზოგადოება, კონკრეტულ პიროვნებას, მის ოჯახს, მის შთამომავლობას – რა კვალი დარჩება მათ შესახებ „საზოგადოებრივ მატიანეში“.

სახელმწიფო მართვაში ჩართული პოლიტიკოსი კი ითვალისწინებს, თუ რა პოზიტიურ კვალს დასტოვებს მისი მმართველობის პერიოდი და რა შეფასებას გაუკეთებს მსოფლიო ისტორია მის ქვეყანას.

ცივილიზებული სამყაროსათვის რუსული „დაკოდილი“ მენტალობა უკეთეს შემთხვევაში ეგზოტიკური მოვლენაა, უარეს შემთხვევაში – სახიფათო ფენომენი, რომლის ან გამოსწორებაა საჭირო, ან მასთან ბრძოლა. ასეთი მიდგომა საშიში, მცდარი და უშედეგო პოზიციაა.




რუსეთის პოლიტიკოსები, თვით მთელი ეს ქვეყანა, შესაძლოა მხოლოდ შეიბოჭოს ან მოთვინიერდეს. ამასთან, ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ მოთვინიერება სრულიადაც არ ნიშნავს გარდაქმნას. მოთვინიერება უცვლელი ინსტინქტების შებოჭვა-შეკავებაა და მეტი არაფერი. ეს მეთოდი გამუდმებულ სიფხიზლეს მოითხოვს, ვინაიდან ყოველჟამს არსებობს საშიშროება ინსტინქტების „გაღვიძებისა“.

რუსი პოლიტიკოსები მიჰყვებიან თავიანთ ქვეცნობიერ, მენტალურ იმპულსს – აყოლილნი არიან ჯანსაღ ინსტინქტებს: მსხვერპლის დევნა მანამ, სანამ შიმშილს არ მოიკლავენ. მენტალიტეტი – მენტალიტეტია, ინსტინქტი – ინსტინქტად რჩება მუდამ. ყოველივე ეს სავსებით ბუნებრივი რეალობაა და უნდა აღიქმებოდეს, როგორც მძაფრი ცხოვრებისეული გასაჭირი, რომლის გაქრობა შეუძლებელია და მხოლოდ მისი თავიდან აცილებაა შესაძლებელი.

სოფელს შემოჩვეული მგლის განადგურება თუ ვერ ხერხდება, ისეთი პირობები უნდა შეუქმნა, რომ სოფელში თარეშს გადააჩვიო.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ევროპული სახელმწიფო დღესაც ამაოდ ცდილობს „მგლის თავზე სახარების კითხვას...“

პუტინი, მედვედევი, ლავროვი, როგოზინი... გენშტაბი... პარლამენტი – მთელი კოჰორტა, როგორც ამ უშველებელი ქვეყნის მოსახლეობის 90%, ბოლშევიკურ-საბჭოური ფორმაციის „ახალი ადამიანები“ არიან.

* * *

არ შემიძლია არ მოვიყვანო ერთხელ მომხდარი საოცარი შემთხვევა, რომელიც, როგორც გამოირკვა, ტიპური ყოფილა.

მილიციამ შემთხვევით გააჩერა ჩრდილოკავკასიელი, რომელსაც იარაღი აღმოაჩნდა. დაკავებული განყოფილებამდე ვერ მიიყვანეს, რადგან საწვავი დამთავრდა, შველა რატომღაც არ გამოიძახეს და... იარაღიანად გაუშვეს!!! ეს ამბავი „ობეპის“ ახალგაზრდა თანამშრომელმა მიამბო. (მკითხველს განვუმარტავ: „ობეპი“ ეძებს და აკავებს მექრთამეებს). ჩვენმა საუბარმა თვალები ამიხილა იმაზე, თუ საიდან ჩნდება ამ სტრუქტურების ავაზაკობა. „ობეპს“ აქვს წლიური გეგმა, მაგალითად, 100 მექრთამე. თუ წლიური გეგმა შესრულდა გადაჭარბებით (მაგალითად 56 მექრთამით), შემდეგი წლის გეგმა იქნება 156 მექრთამე. რიგითი თანამშრომლის ხელფასი (ფასების და მომხმარებლური კალათის გათვალისწინებით) უდრის დაახლოებით 70-80 ლარს. ამრიგად, „ობეპი“ ეძებს მექრთამეს, თვითონ ართმევს მას ქრთამს და ხურავს საქმეს. ამით არ იზრდება წლიური გეგმა და ოჯახის „შემოსავალიც“ დაბრუნებამდე ნორმალურია. ასეთი „ცხოვრების წესი“ ყველა ძალოვან სტრუქტურაშია. ჩემს საქართველოში დაბრუნებამდე ერთი კვირით ადრე, ნაცნობს მოჰპარეს მანქანა. სამი დღის შემდეგ მილიციიდან დაურეკეს და შესთავაზეს მისი მანქანის დაბრუნება გარკვეული თანხის სანაცვლოდ...

კრიმინალური მდგომარეობა ქალაქში შემზარავია.

მსოფლიო კრიზისის დაწყებისთანავე პეტერბურგის ქუჩებში გაიყარა 300 000-მდე უზბეკი, ტაჯიკი, ყირგიზი, ყაზახი, კალმუხი... – ყველა, ვინც მანამდე ასუფთავებდა და აშენებდა ქალაქს. ამ სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად აღრიცხული მასის გარდა, ქუჩაში აღმოჩნდა კიდევ დაახლოებით 150 000 არალეგალურად მომუშავე შუააზიელი. ეს, თითქმის 0.5 მილიონი, მშიერი და უსახლკარო მამაკაცი შეეხიზნენ სარდაფებს და სხვენებს. ვინაიდან სამშობლოში დასაბრუნებელი თანხაც კი არ ჰქონდათ, ეს გამოიყენეს ორგანიზებულმა კრიმინალურმა დაჯგუფებებმა და დიდი სარგებელიც ნახეს. ქალაქი დაფარა ველური ყაჩაღური თავდასხმების ტალღამ. აგურით თავგატეხილ, სიბნელეში უმოწყალოდ ნაცემ დაზარალებულებს უჭირთ დაკავებულებში კონკრეტული პირის ამოცნობა. და თუ ეს მაინც ხერხდება, დამნაშავე ვერ ასახელებს მის უშუალო დამკვეთს – რუსული, როგორც წესი ძლივს ესმის და ამასთანავე მართლაც არ აქვს გააზრებული ვის მოელაპარაკა.

საოცარია, მაგრამ ქალაქელები ამას უკვე შეურიგდნენ. ერთი წლის წინათ აღშფოთებას გამოთქვამდნენ, აქციებს აწყობდნენ – დღეს ეს ვითარება მათი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

ამ დღეების მთავარი საზოგადოებრივი მოვლენა გახდა პირველ არხზე ახალი რუსული სერიალის – „სკოლის“ – ჩვენება. ისეთ სახელმწიფოში, როგორიც დღევანდელი რუსეთია – ეს სენსაციაზე მეტია. რატომ, ვისი ხელშეწყობით და რა მიზნით დაუშვეს მთავარ არხზე ეს უკომპრომისო, სასტიკი და უიმედობის დამნერგავი ნაწარმოები, ცალკე კვლევა-გამოძიების საგანია. სურათის შინაარსის მოყოლას აზრი არა აქვს – დახლართულია და მრავალი მოქმედი პირის ცხოვრების ამსახველი. რუსულმა საზოგადოებამ დაინახა, როგორც სარკეში საკუთარი თავი და შეძრწუნდა. ცხადად გამოჩნდა, რომ ერი სრულიად დეგრადირებულია, რომ დეგრადაციის ასეთი სტადია, პროცესის შეუქცევადობაზე მიგვანიშნებს. საზოგადოება ორად გაიყო: ერთნი ამ ამბავს კატეგორიულად უარყოფენ (წმინდა საბჭოური ფენომენი), მეორენი მაზოხისტურად ტაშს უკრავენ. მე კარგად ვიცნობ იქაურ ახალგაზრდობას, მესმის მათი „პირველყოფილი ენა“, რომელიც სულ ოცდაათამდე სიტყვისგან შედგება. თითქოს რამ უნდა დამძაბოს ან შემაშინოს? და მაინც, ამის მიუხედავად, მზურძგლავს და თვალს ვერ ვაშორებ – ვხვდები, რომ ამ ერს მომავალი არ აქვს – უფსკრულისკენ მიექანება. და უნებლიედ ვუბრუნდები ჩემსას: ვის გაიყოლებენ?...

* * *

უკვე ვახსენე ჩინოვნიკების მიერ ოფიციალურ დონემდე აყვანილი მექრთამეობა და დაუფარავი გამოძალვა. ასევე ვახსენე ზოგიერთ პოლიტოლოგში და ინტელექტუალში გაჩენილი ახალი შიში და მკითხველს დავპირდი, რომ შემდეგ რეპორტაჟში შევეცდებოდი დამატებითი ინფორმაციის შეგროვებას.

რამდენიმე ინსტანციაში სტუმრობის, უწყებების ნაცნობ ხელმძღვანელებთან, ყოფილ და მოქმედ დეპუტატებთან პრივატული საუბრების შედეგად გამოიკვეთა მეტ-ნაკლებად გასაგები და მკაფიო სურათი.

მექრთამეობა და გამოძალვა მხოლოდ შედეგია. მიზეზი კი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირება არის ფიქცია და იმიტაცია. ინსტიტუტები მოქმედებენ არა კანონზე დაყრდნობის და მთავრობის გადაწყვეტილებების საფუძველზე, არამედ ქვეყნის ელიტის, ოლიგარქების ერთმანეთს შორის შეთანხმებების საფუძველზე. სახელმწიფო ინსტიტუტების მთელი სისტემა ფარდაა, რომლის მიღმა სუფევს პირადი, კერძო დაინტერესება. ეს უკვე არა ცალკე აღებული ნაკლოვანებაა – ეს გახლავთ სისტემური, თითქმის დაკანონებული, სახელმწიფო ორგანიზმის ცხოვრების წესი. ჩინოვნიკი, ამ შემთხვევაში, ამ ცხოვრების კანონს მორცხვად ან სიხარულით ემორჩილება. სხვა გამოსავალი არ არსებობს – დაუმორჩილებლობას სისტემიდან გარდაუვლად ამოვარდნა მოჰყება.

მაგრამ ეს დღეს აღარავის აღარდებს. ზოგიერთ პოლიტოლოგს აღელვებს სულ სხვა რამ. ხელისუფლებას ამ ბოლო დროს მინიშნებით „უნებლიედ წამოსცდა“ ისეთი რამ, რაც იძლევა საბაბს ვიფიქროთ შესაძლებელ კონსტიტუციურ ცვლილებებზე. ხელისუფლების „უნებლიეთ წამომცდარი“ მინიშნება ეხებოდა ყველასთვის ცნობილ ჭეშმარიტებას: პარლამენტის უძლიერესი უმრავლესობის ლიდერი პრემიერ-მინისტრია. პოსტსაბჭოური ყური და თვალი ლოკატორივით კარგადაა მომართული უხილავი ტალღების მიღებაზე. ანალიტიკოსები იმწამსვე შეუდგნენ გათვლას: ხომ არ ნიშნავს ყოველივე ეს შესაძლებელ გადასვლას საპარლამენტო მმართველობის მოდელზე? ეს, ერთდროულად, ბევრ საჩოთირო საკითხს სულ სხვა კუთხით შეაბრუნებს: ორი ლიდერის „პაექრობას“; საპრეზიდენტო ვადას; ქვეყნაში დემოკრატიული ცვლილებების ევოლუციურ განვითარებას. ამასთანავე, ასეთი მკვეთრი ცვლილება ბევრ საერთაშორისო ძნელად გადასაჭრელ ან მტკივნეულ თემას, დროებით მაინც, უკან გადასწევს.

ეს სავსებით შესაძლებელი მომავალი დღეს მხოლოდ ანალიტიკოსებს ადარდებს. ხალხი კი, მისთვის უფრო გასაგებ და მტკივნეულ პრობლემებზეა გადართული. ერთი წლის მანძილზე პენსიებმა 40%-ით მოიმატა. ამავე დროს: ჩვეულებრივმა, ყოველდღიურმა პროდუქტების „კალათამ“ მოიმატა 100%; კომუნალურმა გადასახადებმა – 26.8%; მეტროში მგზავრობამ – 6.6%. ეს, ბუნებრივია, ყველაზე მტკივნეულად იგრძნო საშუალო ფენამ. ამიტომაც წლის მიწურულისთვის ინტერნეტი გაივსო (ასეთი და სხვა ამისმაგვარი) აღზნებული ფოტოშარჟებით.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტშარჟი სულაც არ ნიშნავს ხალხის მზაობას ღიად გამოხატოს უკმაყოფილება. წინა რეპორტაჟში ნახსენები სერიალი „სკოლა“ ერის სულ სხვა განწყობაზე და სულიერ მდგომარეობაზე მეტყველებს.

* * *

**დღეს რუსეთი ის ქვეყანაა, რომელშიც...**

ალკოჰოლური მოწამვლისგან იღუპება **40000** ადამიანი.

**550-700 ათასამდე** ადამიანი იღუპება უხარისხო ალკოჰოლის მიზეზით.

**100 ათასი** ყოველწლიურად იღუპება ნარკოტიკების და ფსიქოტროპული პრეპარატების მიღების შედეგად.

ყოველწლიურად **48 ათასი** ბავშვი იღუპება. მათგან **15 ათასი** – ერთ წლამდე ასაკში.

**60 ათასი** ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდება.

**50 ათასი** ბავშვი გარბის სახლიდან, **2 ათასი** კი თავს იკლავს.

**1,5 მილიონამდე** უპატრონო მოხეტიალე ბავშვია.

ოფიციალურად დაფიქსირებულია **2 მილიონზე** მეტი უპატრონო ბავშვი.

(მოსკოვში) არსებობს ბავშვთა (ალკოჰოლიკ მოზარდთა) გამოსაფხიზლებელი – №12 ნარკოლოგიური დისპანსერის ბაზაზე არსებულ ბავშვთა და მოზარდთა სტაციონარულ განყოფილებაში.

**26000 ბავშვი** ვერ აღწევს 10 წელს. ყოველწლიურად იღუპება **70 ათასზე მეტი** ჩვილი, **მათგან 70%** სამშობიაროებში.

**75% მოზარდი** ქრონიკულადაა დაავადებული.

სტუდენტთა **43%** ეტანება ნარკოტიკს, **27%** სარისკო ჯგუფს მიეკუთნებიან, ხოლო **5,4%** ნარკოდამოკიდებულია.

**180 ათასი** ადამიანი კვდება საშიში ან მავნე საწარმოო პირობების გამო.

**მალხაზ ჟვანია.**

**(დასასრული იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 104.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ერო, არ შეშინდე!

***ჩემი გამოცდილებისა და თავგადასავლების პატრონს თითქოს აწი რა უნდა გამ-კვირვებოდა?***

***სრულიად ახალგაზრდა, 1956 წლის 5 მარტს პირველად დავდექი სტალინის ძეგ-ლთან, სანაპიროზე გამართულ მიტინგზე. 9-ში სასწაულით გადავურჩი სიკვდილს.***

***არა და არ ეღირსა იმ სისხლიან 9 მარტს ჯეროვანი შეფასება, თორემ ჩვენ მაშინ საქართველოსთვის ვიბრძოდით, ქართველი კაცის ღირსებას ვიცავდით და, რაც მთავარია, მსოფლიოს რომ აზანზარებდა, იმ იმპერიას პირველები აღვუდექით წინ.***

***იქიდან დამეკვება და 9 აპრილსაც გადავურჩი, „ვარდების რევოლუციის“ საბე-დისწერო ყინულიანი ნოემბერი ხომ რუსთაველზე გადავატარე. არადა, რაც მოხდა და რაც ხდება, ამას ვინ წარმოიდგენდა.***

***მერე იყო 2007-ის ნოემბერი, 2009 წლის მაისი... და ჩემი მეგობრები, რუსთავე-ლები, ჰიპოდრომის გაყიდულ, „პადოშას“ და კიდევ სხვების ნაღალატევ 300-ათა-სიან თანამემამულეთა რიგებში ვიდექით, „უცნობმა“ რომ „დინამოს“ სტადიონი-დან სამებაში გაგვაგზავნა, მაშინაც... აბა, ყველას როგორ ჩამოვთვლი, მიტინგზე დგომა ლამის პროფესიად მექცა.***

# ვითომ ქალის გადამეტება და მეტი არაფერი?!

წესით, ჩემი ასაკის კაცს მიტინგებზე რა ესაქმება, მე ჩემ წილ საქართველოში, ავად თუ კარგად, ვიცხოვრე, იმ საბჭოთა წლებში ბევრად უფრო მეტ ეროვნულ საქმეს ვაკეთებდი, ვიყავი რუსთავის დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე, ხელს ვუწყობდი ქვეყნის გამრავლება-გაძლიერებას, ვწერდი პატრიოტულ მოთხრობებს, წერილებს, სტატიებს, გამოვცემდი წიგნებს, არც არავისი შემშინებია, მიუხედავად ჩემი კომუნისტობისა. და განა მარტო მე... რომ იტყვიან, ჩვენ კი მოვძოვეთ ჩვენი წილი, მაგრამ განა გვაქვს უფლება, გულმშვიდად ვუყუროთ ქვეყნის მაოხართ, როგორ გვხოცავენ, გვანადგურებენ, როგორ ცდილობენ ერის გადაშენებას?..

მერე კი ნანატრი, ვითომ დამოუკიდებლობა მივიღეთ და ახლა კაცთ, თუ ქართველთ-მოძულე ნაძირალების, ქვეყნის დამაქცევარი ხელისუფლების ხელში აღმოვჩნდით...

ერის სასიქადულო, საამაყო, მსოფლიო ჭადრაკის ხუთგზის დედოფალს, უსათნოეს ქალბატონს ნონა გაფრინდაშვილს გვერდით რომ არ დავდგომოდი, ამას როგორ ვიზამდი.

ვერც იმას წარმოვიდგენდი, თუ ნონაზე ვინმეს აუგი დასცდებოდა.

თუმცა ის ათი ათასები, რომლებთანაც მე ვიდექი, არც ნონას შეძახილზე გამოსულან, არც – ნინოსი. არადა, რას ერჩიან ამ ქალბატონს – საკუთარი სიცოცხლე და ოჯახი ლამის მხვერპლად მიაქვს კი არა, მიიტანა, მამაკაცებზე მეტად მამაცობს, არადა, შური და ბოღმა ჰკლავთ ვაიოპოზიციონერ ქალაჩუნებს. დიახ, ხალხი ქვეყნის გასაჭირმა, დამაქცევართა სიძულვილმა გამოიყვანა.

ჩემს გვერდით იდგა გურული ქალბატონი, დედა და ბებია – გურიიდან ქმარს გამოვეპარე, აქ შვილები მყავს, იმათაც ვეპარები და ყოველდღე აქ ვდგევარ, ილუჰება, ნენა, ქეთევანა, ჩემს შვილიშვილებს, მომავალი არ აქვთ, შინ რა გამაჩერებსო...

არადა, ნორმალურ, დალაგებულ ქვეყანაში ამ ასაკის ქალი თავის ბადიშებთან უნდა იყოს, ზრდიდეს, ეფერებოდეს.

ის ქალბატონი, გვარად მგალობლიშვილი, თქეში რომ მოვიდა 25-ში, ჩვენთან იდგა და ფეხი არ მოუცვლია. მერე, მკვლელები და ავაზაკები რომ თავს დაგვესხნენ, დავკარგე, არადა, ადამიანურად მაწუხებს მისი ბედი.

ერთმა თბილისელმა, ასაკოვანმა კაცმა დაიჩივლა. მიშა რომ არ გვეკარება, გასაგებია, მაგრამ ეგ უგულავა, ხან პურის მცხობლად რომ გაგვეჩითებოდა არჩევნების წინ, ხან ბენზინის ჩამომსხმელად, ხან სად და ხან სად, ახლა სად არის, ერთი დაგვხედოს მაინცაა. ჩვენ ხომ მტრები არა ვართ, განა ჩვენ არ დავსვით მაგ ტახტზეო!

ერთი რუსთაველი 85 წლის შ. მ. (გვარი რომ გავამხილო, ვინც იცის, რას დააწევენძ, სანამ მკვლელები შემოცვივდებოდნენ, გვერდით მედგა. მხოლოდ მესამე დღეს ვნახე, ცოცხალია და გამიხარდა, მაგრამ ვაი ამისთანა ყოფას, თავი აქვს გაჩეჩქვილი! ამ ხნის კაცს რომ ასე გაიმეტებს, იმას აქვს კი სახელი? ადამიანის სისხლი უდგას? ადამიანი ჰქვია? ქართველი რომ არაა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

მე ჩემმა ძმამ, ასევე პროფესიონალმა მომიტინგემ, მურთაზმა გადამარჩინა. ჯარში ნამსახურია, თანაც ჩემზე ბევრად ახალგაზრდაა. წარმოიდგინეთ, ერთმა პოლიციელმა, რომელსაც ნიღაბი არ ჰქონდა, რატომღაც ხელკეტი რომ აღმართა, იქით შეუტია. არ გაბედო, გიცნობ და ამ ქალაქში ვერ იცოცხლებო!

არ ვიცი, ალბათ უფალმა დაგვიფარა.

აი, ამ წერილის სათაურიც ძმამ მიკარნახა: რომ გაიძახიან, ქალის გადამეტებაო, ვითომ მხოლოდ გადაამეტეს, გადაამლაშეს და მეტი არაფერიო? ასეთი ჩეხვა და სისხლის ღვრა როდიონოვის მიერ მოსეულ უპატრონოთა სახლებში აღზრდილ გადამთიელებს არ ჩაუდენიათ 9 აპრილსო.

მარტო ხელისუფალნი რომ იძახდნენ ასე, კიდევ გასაგებია, მკვლელი აბა იმას იტყვის, მკვლელი ვარო?

თუნდაც ორი-სამი ოპოზიციური პარტია რომ შემოერთებოდა ამ მიტინგს, ეს ხელისუფლება ამდენს ვერ გაბედავდა.

ვერც იმას დაგვაწამებდნენ, „რაგატკებით“ და პლასტმასის ჯოხებით გადატრიალებას რომ ვაპირებდით ვითომ.

ეს კბილებამდე შეიარაღებული სისხლის მსმელები მხოლოდ რუსის ჯარმა შეაშინა თავისი მთავარსარდლიანად და მიწაზე ახოხიალა, თორემ ჩვენგან ხელკეტიც კი რამდენიმეს თუ ჰქონდა, შიშველი ხელებით კი ვიფიქრებდით სხვა რამეზე?

27 მაისს ისევ მივედით... კი, რუსთაველის ძეგლთან ბევრი მოვიდა, მაგრამ მეგონა, მთელი თბილისი გამოვიდოდა.

თუ მომავალშიც არ გამოვფხიზლდით, დედაქალაქად ქუთაისსაც არ გამოაცხადებენ, ისე გაგვყიდიან ქართველებს, მხოლოდ ისტორიის კუთვნილებად დავრჩებით! დღეს ეს ხომ ყველასათვის ნათელია! მე და ჩემი მეგობრები, სანამ პირში სული გვიდგას, კვლავაც დავდგებით იქ, სადაც საჭიროა.

ქვეყანა, რომელსაც, აგერ ახლახან, ჟიული შარტავა ჰყავდა, არა მგონია, ვიგინდარებს შეეწიროს.

**გივი ჯახუა.**

***P. S. მე თუ მკითხავთ, 25-26 მაისს, სამშობლოს გადასარჩენად რუსთაველზე საკუთარი ხელისუფლების მიერ მოკლულნი ქვეყნის ეროვნულ გმირებად უნდა გამოცხადდნენ.***

***და კიდევ, სანამ ჯერ ისევ გვაქვს ქვეყნის გადარჩენის მცირედი შანსი, ერთად უნდა დავდგეთ, კიდევ ერთხელ მინდა მივმართო, ხმა მივაწვდინო საზღვარგარეთ გადახვეწილ ჩვენს თანამემამულეებს: კი, ბატონებო, გვარჩენთ, გვინახავთ, მაგრამ მარტო ეს არ კმარა! იქნებ ხმა ამოიღოთ, გააგებინოთ იმ ქვეყნების დამოკრატ ხელისუფალთ, რომელ ქვეყნებშიც თქვენ ცხოვრობთ, რომ საქართველო ტირანიამ წალეკა, რომ აქ გვკლავენ, გვხოცავენ, XXI საუკუნის ბარბაროსები კაციჭამიები გახდნენ.***

***ლეიბორისტებო, შეეშვით საქართველოსთვის უფლის მიერ ბოძებულ ივანიშვილს, იქნებ ხალხისკენ შემობრუნდეთ, თორემ ძალიან დიდი ეჭვი გაჩნდა, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ თქვენ მიშისტები ხართ.***

***და ბოლოს, ბატონო კახა, დიდი მამის შვილო, დიდი ჟიული შარტავას ცხელი სისხლი თუ გიდუღს ძარღვებში, მისებრ მგზნებარე გული გიძგერს მკერდში, მაშინ გამოდი, ხალხს დაუდექი, სანამ გვიან არ არის. შენ და გუბაზიც ნუ ჩაიმარხებით იმ საეჭვო „რვიანის“ მოჩვენებითს მანტიაში.***

***ქართველებო, ნუ შეშინდებით, ესენი არც იმდენნი არიან, ყველა რომ დაგვხოცონ, და რომც მოგვკლან, ღირსება და სახელი მაინც დაგვრჩება!***

***გ. ჯ.***



## ახალი კრებული

# „გაიღვიძე, საქართველო!“

**„მათქმევინე, დე!“ – ამ სათაურით გამომცემლობა „ლეგამ“ ელა გოჩიაშვილის ლექსების კრებული დასტამბა. წიგნის რედაქტორები არიან: თამარ ბარბაქაძე და გიორგი ლობჟანიძე.**

წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ პოეტი, რომელიც აქამდე ეგზისტენციალურ პრობლემებს დასტრიალებდა და ქართული პოეზია მრავალი ლირიკული შედევრით გაამდიდრა, ამ წიგნში სამოქალაქო და პატრიოტული ლირიკის დიდოსტატად გვევლინება.

„ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისთვის ასეთი ლექსები სარკის დანიშნულებას ასრულებდა, რომელშიც „ბედნიერ ერს“ თავისი ნამდვილი სახე უნდა დაენახა.




სხვათა შორის, ელა გოჩიაშვილის ამ კრებულის ერთი შესანიშნავი ლექსის სათაურიც „აჰა, სარკე“ მკაფიოდ მიგვანიშნებს იმაზე, რომ პოეტი თავის წინამორბედად სწორედ XIX საუკუნის ქართველ მწერლებს მოიაზრებს და არა თუნდაც XX საუკუნის პატრიოტული ლექსის გამოჩენილ ოსტატებს“, – წერს გიორგი ლობჟანიძე.

მისივე შეფასებით, დღევანდელობაზე საფიქრალს ისეთი სიმწარე ამოაქვს გულის დაფარული შრეებიდან, რომ თავმოსაწონებელს ვერაფერს უტოვებს თანამედროვე გაზულუქებულ, ილაჯგაცლილ და ქანცგაწყვეტილ ქართველს, რომელსაც მტერ-მოყვარე ერთმანეთისგან ვეღარ გაურჩევია და ერთადერთ „ხატებად“ ფული და პიროვნული კეთილდღეობა დაუსახავს.

ეს პატარა კრებული „სევდის უფსკრულიდან“ ამოძახილი მგონია, რომელიც „დაკლულ მამულს“ კი არ დასტირის, გამოფხიზლებისკენ მოუწოდებს:

**„შე სამშობლოს მინამგვანო,**<br>**აღარც მხნევ და აღარც მრთელო;**<br>**გასკდა გული! რა გაძინებს!**<br>**გაიღვიძე, საქართველო!“**

**თამარ შაიშმელაშვილი**

***გთავაზობთ ერთ ლექსს ელა გოჩიაშვილის ახალი კრებულიდან***

### მათქმევინე, დე!..

ქართველ პოეტებს

**სამშობლო ხარ! – ამას აღარ**<br>**ეშველება,**<br>**მაგრამ, თუ არ მოგვიკითხავ დიდხანს,**<br>**მე წინდაწინ მებრალები იმ დღისათვის,**<br>**როცა მოგვიკითხავ.**<br>**პოეტი ვარ... შენი სიოც გადამძალავს,**<br>**შენი ცერად შემოხედვაც დამჭრის;**<br>**ვმალავ ლექსებს საქაღალდის**<br>**ფსკერზე, რადგან,**<br>**ფსევდონიმში დასამალი რა მჭირს!**<br>**სანამ ჩემი სიყვარულის გეშინია,**<br>**დგას „ჭკვიანი“ და აღლუმი მიჰყავს,**<br>**სანამ თვითონ არ მიმხვდარხარ,**<br>**საქართველოვ, მოსავლელი ვინ გყავს.**<br>**რა გვჭირს შვილებს ფსევდონიმში**<br>**გასაქცევი...**<br>**ვკეცავ ლექსებს და უჯრაში ვდებ;**<br>**ჩემი შიში შენი დიდი სირცხვილია,**<br>**მათქმევინე, დე!**<br>**სამშობლო ხარ! – ამას აღარ**<br>**ეშველება,**<br>**მაგრამ, თუ არ მოგვიკითხავ დიდხანს,**<br>**იმ დღისათვის მებრალები, საქართველოვ,**<br>**როცა მოგვიკითხავ...**

2004 წ. 4 აგვისტო

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

**მძლეოსნობა**

# უხვი ნადავლით – ბაქოდან

**საქართველოს მძლეოსანთა 22-კაციანმა ნაკრებმა ბაქოში აზერბაიჯანის ღია პირველობაზე იასპარეზა. ჩვენი ათლეტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სხვადასხვა სახეობაში 16 ოქროს, 11 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს. გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:**

**პირველი ადგილი. გოგონები.** სალომე რიგიშვილი (ბადროს ტყორცნა, ბირთვის კვრა), მაია გოგოლაძე (100 მ. თარჯებით), სალომე სირაძე (200 მ), თეა ფაცურია (400 მ. თარჯებით), თამარ პაპუაშვილი (1500 მ), გიული დეკანაძე (3000 მ), თათია პაიკიძე, სალომე სირაძე, მაია გოგოლაძე, სოფიო მაჭავარიანი (4X100მ), თათია პაიკიძე (სამხტომი). **ვაჟები.** ზურაბ გიგაია (ბადრო, ბირთვი), დავით ილარიანი (110 მ. თარჯებით), მერაბ ქინიძე (1500 მ), ზურაბ გოგოჭური (სიმაღლეზე ხტომა), ბოლესლავ სხირტლაძე (სიგრძეზე ხტომა).

**მეორე ადგილი. გოგონები.** სალომე სირაძე (100 მ), თეა ფაცურია (400 მ), თამარ პაპუაშვილი (800 მ), გიული დეკანაძე (1500 მ), თათია პაიკიძე (სიგრძეზე ხტომა), სოფიო მაჭავარიანი (სიმაღლეზე ხტომა). **ვაჟები.** ენდრიკ ზალზერშტეინი (200 მ), მერაბ ქინიძე (800 მ), გიგლა ზილზერშტეინი (3000 მ), ჯეირან ხოფერია (3000 მ. წინაღობებით).

**მესამე ადგილი. ვაჟები.** ენდრიკ ზილზერშტეინი (400 მ), დენის ჟვანია (400 მ თარჯებით), თენგიზ ღვინჯილია (800 მ), ოთარ ხაჭაპურიძე (სიგრძეზე ხტომა). საგულისხმოა, რომ გოგონებში სალომე რიგიშვილმა ბადრო 49, 51 მეტრზე ტყორცნა და 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ნორმატივი შეასრულა.

აზერბაიჯანიდან დაბრუნებულ ქართველ მძლეოსნებს შეხვდა და წარმატება მიულოცა სპორტის



მინისტრმა ვლადიმერ ვარძელაშვილმა, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ ჩვენი ათლეტები 17-20 ივნისს რეიკიავიკში (ისლანდია) ევროპის მე-3 ლიგის გუნდურ ჩემპიონატშიც იყოჩაღებენ.

**ლექსო ცინცაძე**

**კალათბურთი**

# სტატუს-კვო აღდგა

**მართლაც რომ უძნელესი საქმეა ნბა-ს ფინალური სერიის საბოლოო შედეგის გამოცნობა.**

**მას შემდეგ, რაც „დალასმა“ ფლორიდაში გამართული მეორე მატჩი „მაიამის“ მოუგო, თავად დაეუფლა საკუთარი მოედნის უპირატესობას და ფავორიტადაც ამ წყვილში ბევრი უკვე ტეხასურ კლუბს მიიჩნევდა, მაგრამ...**



როგორც „მავერიქსის“ დარბაზში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, ლებრონ ჯეიმსის, დუეინ უეიდის, კრის ბოშისა და კომპანიის ჩამოწერა ნაადრევი ყოფილა – სტუმრებმა უმძაფრეს ბრძოლაში გაიმარჯვეს მეოთხე დუელში – 88:86 და საერთო ანგარიში გაათანაბრეს – 2:2.

აღსანიშნავია, რომ მასპინძელთა ლიდერმა დირკ ნოვიცკიმ ამჯერადაც შეასრულა პირადი პროგრამა – მინიმუმი – 32 ქულა, მაგრამ მას პარტნიორებმა ღირსეულად ვერ აუბეს მხარი და დამარცხებულებმა დატოვეს სარბიელი.

„ჰითის“ ვარსკვლავთაგან აღსანიშნავია უეიდის მონაგარი – 29 ქულა, რომელმაც თვით ჯეიმსი დაჩრდილა – 17 ქულა, ხოლო გადამწყვეტი ბურთი ბოშმა ჩააგდო.

**გიორგი შოთაძე**

# ვარსკვლავი მიდის, მაგრამ არ ჩადის!

**დიახ, თავისი სათამაშო კარიერის დასრულებაზე განაცხადა სახელგანთქმულმა კალათბურთელმა, 39 წლის შაკილ ო' ნილმა.**

ის მხოლოდ სუპერკალათბურთელი როდი იყო. მას იცნობდნენ როგორც შესანიშნავ, იუმორის მოყვარულ ადამიანს, ხუთ შვილზე მზრუნველ მამას, ღრმად მორწმუნეს (სარწმუნოებით მუსულმანი, ის დიდ პატივს სცემს სხვა სარწმუნოებებსაც, მაგალითად მოაქვთ ბუდისტური მონასტერი ტიბეტში), ამავე დროს ის არის პლასტიკური მოცეკვავე (რაც თითქოს დაუჯერებელია მის წონის – 147 კგ. გამო) და ტალანტი ავტორი და შემსრულებელი რეპის სტილის სიმღერებისა.



მას შემთხვევით როდი ადარებენ თანამედროვეობის უდიდეს კალათბურთელებს „მაიამის“ ფორვარდს ლებრონ ჯეიმსსა და თავისსავე თანაკლუბელ მაიკლ ჯორდანს.

არ გაგიკვირდეთ და მისი სავიზიტო ბარათი ყოფილა 59 ნომერი სპორტული ფეხსაცმელი. ერთი წყვილი აშშ პრეზიდენტ ბარაკ ობამასთვის რომ უჩუქნია.

როგორც ამბობენ, თუ ის რამეს ჩაიფიქრებდა, აუცილებლად ასრულებდა და ახარებდა უამრავ თაყვანისმცემელს.

აი, ზოგიერთი ფაქტი შაკილ ო' ნილის სახელოვანი ცხოვრებიდან:

- **მოთამაშის კარიერის დროს მან გამოიმუშავა 292 198 327 დოლარი.**
- **ნბა-ს რეგულარულ ჩემპიონატზე ითამაშა 1207 მატჩი. უკეთესი შედეგი (1267) აქვს მხოლოდ ჯეისონ კიდს.**
- **15-ჯერ აირჩიეს ნბა-ს ვარსკვლავთა სასტარტო ხუთეულში. აქ მას მხოლოდ აბდულ ჯაბარი – 19-ით უსწრებს.**
- **10-ჯერ იყო საუკეთესო თამაშიდან ნასროლის რეალიზაციის პროცენტით. იქამდე კი საუკეთესო იყო ჩემბერლენი – 9 სეზონი.**
- **52,7 პროცენტი რეგულარულ პირველობებზე საჯარიმო ტყორცნების რეალიზაციისას. მოთამაშეებს შორის ვინც სცადა 2000 ტყორცნა, უარესად ესროლა მხოლოდ ჩემბერლენმა – 51,1 პროცენტი.**

**რაგბი**



## ზედა ეშელონს ვერ შესწვდნენ

**უნგრეთის ქალაქ ჟანკაში დამთავრდა შვიდკაცა რაგბიში ქალთა ევროპის ჩემპიონატი C დივიზიონში, სადაც ერთი რანგით მაღალი ეშელონის საგზური თამაშდებოდა. პირველობას 10 გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს. საქართველოს ნაკრებმა ქვეჯგუფში ყველა მეტოქე დაამარცხა, თანაც სოლიდური ანგარიშებით: ლუქსემბურგი – 33:0, ბარბაროსები – 34:7, პოლონეთი – 26:7, ბოსნია – 43:0, აი, ნახევარფინალური პაექრობა კი A ქვეჯგუფის მეორეადგილოსან დანიასთან 21:26 დათმო, მე-3 ადგილისთვის ბრძოლაში კი ჩვენებმა მასპინძლებს აჯობეს – 28:7. პირველი ადგილი პოლონელებმა დაიკავეს, რომლებმაც ფინალში დანიელებს სძლიეს.**

საქართველოს ქალთა ნაკრებმა უნგრეთში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: შორენა გამსახურდია, ანა პოლოსიანი, ბელა გოგსაძე, მარეხ მაისურაძე, ნათია გიორგაძე, ნინო ელოშვილი, ნათია ცინცქალაძე, ეკატერინე ბალარჯაშვილი, ნანა კაშია, ქრისტინე შალამბერიძე, ანა ანდღულაძე, ელეონორა გიგილაშვილი, **მწვრთნელი პალიკო ჯიმშელაძე.**

**ლაშა დიდია**

**ინტერნეტიდან**

## უეფამ ნაკრებები „განთესა“

**ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირმა – უეფამ – 2012 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების კენჭისყრის წინ გამოაქვეყნა ევროპის ფეხბურთის ეროვნული ასოციაციების „განთესვა“, რომლის მიხედვითაც უნდა იქნას თავიდან აცილებული ის, რომ ერთ ჯგუფში არ მოხვდნენ მხოლოდ ძლიერი გუნდები, მეორეში კი – სუსტები.**

**აი, როგორ გამოიყურება ეს თავისებური განაწილება:**

**1 კალათა** – ესპანეთი, ჰოლანდია, გერმანია, ინგლისი, პორტუგალია, იტალია, ხორვატეთი, ნორვეგია, საბერძნეთი.

**მე-2 კალათა** – რუსეთი, სერბეთი, სლოვენია, საფრანგეთი, ჩერნოგორია, შვეიცარია, სლოვაკეთი, დანია, შვედეთი.

**მე-3 კალათა** – თურქეთი, ჩეხეთი, ისრაელი, ირლანდია, უკრაინა, ბელგია, რუმინეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი.

**მე-4 კალათა** – ლიტვა, ალბანეთი, უნგრეთი, ბელორუსი, საქართველო, სომხეთი, ჩრდილო ირლანდია, შოტლანდია, პოლონეთი.

**მე-5 კალათა** – ავსტრია, ესტონეთი, ლატვია, ფინეთი, მაკედონია, მოლდავეთი, კვიპროსი, აზერბაიჯანი, უელსი.

**მე-6 კალათა** – ისლანდია, ლუქსემბურგი, ფერარის კუნძულები, ყაზახეთი, ლიხტენშტეინი, მალტა, ანდორა, სან-მარინო.

მსოფლიო ჩემპიონატზე პირდაპირ მოხვდებიან ჯგუფებში გამარჯვებულები, კიდევ 8 ნაკრები, ჯგუფებში მეორე ადგილი რომ დაიკავეს, დანარჩენი ოთხი საგზური კი ევროპიდან გათამაშდება პლეი-ოფში.

ტურნირის კენჭისყრა გაიმართება 30 ივლისს. მსოფლიო ჩემპიონატი კი ჩატარდება 2014 წელს ბრაზილიაში.

## სიყვარულმა მაინც გაიმარჯვა

**რუმინეთში ყველაზე ცნობილმა მოდელმა ბიანკა დრაგუშანუმ ამას წინათ გალანძღა თავისი ახალგაზრდა შეყვარებული, ნახევარმცველი ადრიან კრისტი, რადგან ის უზომოდ დათვრა და ძალზე ცუდად იქცეოდა; რამაც ლამაზმანი გააცეცხლა. მან მკაცრად გაჯორა ადრიანი და აღარ მიიღო მისი ბოდიშები.**



თუმცა სიყვარულმა მაინც გაიმარჯვა! ამ დღეებში ბიანკა და ადრიანი ერთად ნახეს კაფეში, რათა ურთიერთობაში გარკვეულიყვნენ, შემდეგ კი ერთად შემოიარეს მაღაზიები, ბოლოს კი ჩასხდნენ მანქანაში და ფეხბურთელის სახლში წავიდნენ. როგორც ჩანს, შერიგდნენ.

მაგრამ რუმინული პრესა არ ჩქარობს წყვილის შერიგების გახმოვანებას. იმაზე ნაკლებს წერს, ვიდრე მატეო ფერარისა და აიდა იესპიკის შეერთებაზე. რასაკვირველია, ეს იტალიურ-ვენესუელური დუეტი უფრო ძვირფასად მიიჩნიეს, ვიდრე ბიანკა-ადრიანის წყვილი.

**კადრი**



**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ჩვენი კარაბადინი

# დაასცემინე და გეყოფა

## მეცნიერებმა შექმნეს პრეპარატი, რომელიც კურნავს ალერგიას

**წელს დაგვიანებული გაზაფხულის გამო ალერგიკოსები ცხვირის ცემინებას იწყებენ მაისის შუა რიცხვებიდან. მაგრამ, შეიძლება, მათ მალე დაივიწყონ ეს. მეცნიერებმა დაამუშავეს პრეპარატები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ თავი დავაღწიოთ მას სამუდამოდ ორ კვირაში. ამისა და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვემზადოთ ალერგიის სეზონისთვის, გვიამბობს რუსეთის ფედერაციის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური განვითარების სამინისტროს მთავარი იმუნოლოგი და ალერგოლოგი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და მედიცინის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი რახიმ ხაიტოვი.**




### გაციება არა!

**— ბატონო რახიმ, როგორ გავერკვეთ: გაცემინებს იმიტომ, რომ გაცივდი, თუ ალერგიის გამო?**

— თავად ამის გამორკვევა რთულია. მედიკოსებსაც კი რაიონულ პოლიკლინიკებში ყოველთვის როდი შეუძლიათ დასვან სწორი დიაგნოზი. მოდის ავადმყოფი: აცემინებს, ახველებს. ექიმს ჰგონია, რომ გაციებულია. უნიშნავს წამლებს, ხშირად ანტიბიოტიკებსაც კი ან სულფანილამიდებს. ეს პრეპარატები კი მხოლოდ ამძიმებენ სურათს. ავადმყოფი უფრო ცუდად ხდება. ამიტომ, თუ გაციების ნიშნები გაქვთ — სურდო, კონიუნქტივიტი, ხველება, მაგრამ არ გაქვთ მაღალი ტემპერატურა და არ გშველით ინფექციის საწინააღმდეგო თერაპია, უნდა მიმართოთ ალერგოლოგ-იმუნოლოგს.

**— მაგრამ რატომ ეწყება ჯანმრთელ ადამიანს წამება უბრალო მტვერისგან? ეს ხომ მიკრობები არ არის...**

— ალერგიის წარმოქმნის ზუსტი მიზეზი არავინ იცის. დიდ როლს გენეტიკა ასრულებს. თუ დედას ან მამას აქვს ალერგია, მაშინ შვილის დაავადების ალბათობა 25-30 პროცენტია. ხოლო თუ ორივე — დედაც, მამაც — ალერგიულია, მათი შთამომავლების რისკი 80 პროცენტამდე იზრდება. მაგრამ, პრინციპულად, ალერგია შეიძლება ნებისმიერ ადამიანს გაუჩნდეს. ქოლგა, რომელიც მისგან დაგვიცავს, არ არსებობს. სამწუხაროდ, ავადმყოფების რაოდენობა ყოველ ათ წელიწადში ორმაგდება. გასული საუკუნის დასაწყისში მათი რაოდენობა 1-2 პროცენტი იყო, დღეს კი სხვადასხვა ქვეყანაში — მოსახლეობის 35 პროცენტამდეა.



**დედამიწის მოსახლეობის 35 პროცენტი ალერგიულია**

რატომ ჩნდება ალერგია — უცნობია, აი ის კი, თუ როგორ ვითარდება ალერგია, შესწავლილია. როდესაც ორგანიზმში ხვდებიან ბაქტერიები, ვირუსები, სხვა მავნე ნივთიერებანი, იმუნური სისტემა გამოიმუშავებს დამცველ ცილებს, რომლებიც ანადგურებენ „მტერს“ და გვიცავენ ჩვენ. მათ ანტისხეულებს უწოდებენ. ალერგიის შემთხვევაში იმუნური სისტემის მუშაობაში ხდება შეფერხებები, და დამცველი ცილების ნაცვლად ის იწყებს ალერგიული ცილების (E კლასის იმუნოგლობულინებისძ გამომუშავებას. ეს „არასწორი“ ცილები ილექებიან გარკვეული უჯრედების ზედაპირზე და „ყუჩდებიან“, სანამ ორგანიზმში ხელახლა არ მოხვდება ალერგენი, რომელიც მათ წარმოქმნას იწვევს. როდესაც ისინი ალერგენს უერთდებიან, უჯრედი ინგრევა, და მისგან მოედინება განსაკუთრებული ნივთიერება — ალერგიის მედიატორები. როდესაც ისინი ცხვირის ლორწოში ხვდებიან, სწრაფად იწვევენ შეშუპებასა და სურდოს, თვალებში — კონიუნქტივიტს, სასუნთქ გზებში — სულის ხუთვას.

### ნემსი — შხამით

**— სწორია, რომ შეიქმნა ალერგიის წამალი?**

— დიახ, იმუნოლოგიის ინსტიტუტში შემუშავებულია ასეთი პრეპარატები. გასაგებად რომ გამომივიდეს, თუ რა არის ჩვენი ნოვაცია, შეგახსენებთ, თუ დღეს ალერგიის მკურნალობის რა ხერხები არსებობს. ალერგიის საწინააღმდეგო ის პრეპარატები აბების სახით, რითაც სავსეა აფთიაქების თაროები, არ კურნავენ, არამედ მხოლოდ დროებით თრგუნავენ სიმპტომებს. შეწყვეტ მათ მიღებას — კვლავ ჩნდება ალერგიული რეაქცია. დღემდე მთელს მსოფლიოში არსებობდა ალერგიის ნამდვილი მკურნალობის ერთი ხერხი — სპეციფიური იმუნოთერაპია. ექიმები ჯერ განსაზღვრავენ მიზეზობრივ ალერგიას, შემდეგ მას ლაბორატორიაში ასუფთავებენ და ძალიან მცირე დოზებით შეჰყავთ პაციენტში რამდენიმე თვის განმავლობაში. და მხოლოდ 4-5 ასეთი კურსის შემდეგ შეიძლება მიაღწიო განკურნებას. ჩვენც გამოვყოფთ მიზეზობრივ ალერგენს, შემდეგ მას ვუერთებთ მოლეკულურ იმუნომოდულატორს, რისი წყალობითაც ალერგიული რეაქცია დამცველი ხდება. ახალ პრეპარატებს ჩვენ ალერგოტროპინები ვუწოდეთ. მრავალწლიანმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ამგვარი პრეპარატები „წმინდა“ ალერგენებზე გაცილებით ეფექტიანები არიან. საკმარისია 2-3 კვირა, რომ შევამციროთ ორგანიზმის მგრძნობელობა ალერგენისადმი. ამჟამად პრეპარატები გადიან რეგისტრაციას და, ვფიქრობ, უკვე წლის ბოლოსათვის ხელმისაწვდომი იქნება ავადმყოფისათვის.

**— როგორ მოვემზადოთ სეზონური ალერგიისთვის?**

— უწინარეს ყოვლისა უნდა ვიცოდეთ, თუ კონკრეტულად რაზე ახდენს რეაგირებას ადამიანი და როდის ჩნდებიან ეს ალერგენები ჩვენს რეგიონში. როდესაც თოვლი დნება და მიწა იწყებს გათბობას, ლპება შარშანდელი ბალახი და ფოთლები, იღვიძებენ სოკოების ფესვები — ჰაერში ჩნდებიან სოკოვანი ალერგენები. მაისში ხეები უშვებენ მტვერს, ივნისში მხოლოდ მარცვლოვანი ბალახები ყვავიან, ივლისსა და შემოდგომით — სხვა ბალახები. ამ დროს უმჯობესია დროებით წავიდეთ იმ ადგილებში, სადაც ამ მცენარეების ყვავილობის სეზონი ჯერ ან არ დაწყებულა, ან უკვე დამთავრდა. თუ წასვლას ვერ ვახერხებთ, სათანადო ზომები სახლში უნდა მივიღოთ. ისარგებლეთ ჰაერის გამწმენდებით და მტვერსასრუტებით, რომლებიც აღჭურვილი არიან ანტიალერგიული ფილტრებით. წინასწარ აფთიაქებში მოიმარაგეთ ანტიჰისტამინური პრეპარატები.

**— ზაფხულობით ბევრ საშინელ ამბებს გვიყვებიან: წავიდა კაცი სოფელში, უკბინა ფუტკარმა და ის გარდაიცვალა.**

— ეს არის ინსექტური ალერგია კოღოების, კრაზანების ან ფუტკრების, სხვა მწერების კბენაზე. პირველი კბენა ადამიანში იწვევს ალერგიული ანტისხეულების წარმოქმნას, მეორე — მეტად მძიმე რეაქციას თვით სიკვდილამდე. ამიტომ, თუ ოდესმე გქონდათ ალერგია მწერების კბენაზე, მიიღეთ კონსულტაცია ალერგოლოგთან. ასეთი პაციენტებისთვის მკურნალობის ძირითადი მეთოდი — ეს არის სპეციფიური იმუნოთერაპია ფუტკრებისა და კრაზანების შხამის ალერგენებით.

**იულია ბორტა**

ЗДОРОВЬЕ

სიახლე

# ეროვნულ მუზეუმს შეემატა



**გუშინ რეკონსტრუქციის შემდეგ ეროვნული გალერეის შენობას რამდენიმე საგამოფენო დარბაზი შეემატა. ოთხ, თანამედროვე სტილში ნაგებ დარბაზში ცნობილი ქართველი მხატვრების გამოფენა მოეწყო, ნახატები კარგა ხანს მუზეუმის საცავებში ინახებოდა. დამთვალიერებლებს საშუალება მიეცათ კვლავ დამტკბარიყვნენ ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, გიგო გაბაშვილის, მოსე თოიძის, აპოლონ ქუთათელაძის, ელენე ახვლედიანის, უჩა ჯაფარიძის, თამარ აბაკელიას და სხვა დიდოსტატთა ტილოებით.**

**ალსანიშნავია, რომ საგამოფენო დარბაზებში უახლესი ტექნოლოგიებით, ყოველგვარი „მინიკლიმატია“ დაცული, რათა ხელოვნების ნიმუშები არ დაზიანდეს.**

**ელგუჯა ნადარეიშვილი**
ავტორის ფოტო.





შვილები ნათია, მირიან უსტიაშვილები, სიძე თამაზ მესხი, შვილიშვილი ნინო მესხი, სიდედრი ციალა ჩიქვილაძე, ცოლისდა რუსუდან ჩიქვილაძე, ძმისწულები სოფო გველესიანი, თეიმურაზ უსტიაშვილი, ფერიდე უსტიაშვილი, რძალი მარიკა ჩიტორელიძე, მამიდაშვილები დოდო მამფორია, ზურაბ მგელაძე, სვეტა ინასარიძე, დეიდაშვილები ჟუჟუნა სურმანიძე, თენგიზ ბეჟანიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თეიმურაზ უსტიაშვილი

პანაშვიდი 9, 10 VI, 16 სთ. გამოსვენება 11 VI, 15 სთ. მისამართი: ქ. ბათუმი, შ. რუსთაველის ქ. №41.

---

მანანა რობაქიძე, თენგიზ ჩარკვიანი, ნინო ჩარკვიანი, რეზო ციციშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბიძაშვილის

თეიმურაზ უსტიაშვილის

გარდაცვალებას.

---

ნინო ქორქაშვილი, თეიმურაზ ჩარკვიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

თეიმურაზ უსტიაშვილის

გარდაცვალებას.

ნომრის კარიკატურა




ამირან ერაძის ნახატი.

ინფორმაცია

# მოსკოვში ქართველი წამებით მოკლეს

მოსკოვში საქართველოს მოქალაქე მოკლეს. წინასწარი ინფორმაციით, 48 წლის გელა ბლიაძეს ეთნიკურ ნიადაგზე გაუსწორდნენ.

გარდაცვლილის ახლობლების თქმით, გელა ბლიაძე ქუჩაში გვიან ღამით, სიგარეტის საყიდლად გავიდა და სახლში აღარ დაბრუნებულა. სამართალდამცველებმა მისი ნაწამები ცხედარი დილით იპოვეს.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი დაკავებულია.

გელა ბლიაძეს ოჯახი თბილისში ჰყავს, თავად კი მოსკოვში მშენებლობაზე მუშაობდა. მოკლულის ოჯახი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცხედრის გადმოსვენებაში დახმარებას სთხოვს.

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

⊙ სიცოცხლის ხანგრძლივობა

# მთავარია, ტვინი ამუშაოთ

**ბოლო დრომდე მიაჩნდათ, რომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე უმეტესწილად სამი ფაქტორი მოქმედებს: მემკვიდრეობითობა, ცხოვრების წესი და ეკოლოგია. თუმცა ახლა აღმოჩნდა, რომ ამ სამის გარდა მნიშვნელოვან როლს ინტელექტიც ასრულებს: რაც უფრო მაღალია ინდივიდის IQ (ინტელექტის კოეფიციენტი), მით უფრო მეტი შანსი აქვს, ას წლამდე იცოცხლოს.**

ეს დასკვნა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მეცნიერთა ორმა ჯგუფმა გამოიტანა. ერთი მათგანია არიზონის უნივერსიტეტის გერონტოლოგთა ჯგუფი, მეორე – დიდი ბრიტანეთის სამედიცინო კვლევების საბჭოს სპეციალისტები. პირველებმა დაადგინეს, რომ განათლებულ ადამიანთა შორის სიკვდილიანობა ნაკლებად განათლებულებთან შედარებით ოთხჯერ მცირეა. იგივე დასკვნამდე კი ბრიტანელი მეცნიერები მივიდნენ შოტლანდიაში მცხოვრებ ათასხუთასი ორივე სქესის მოხალისის IQ-ისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის ანალიზის შედეგად. გამოკვლევა 1997 წელს დაიწყო, როცა თითოეული მოხალისე 56 წლისა იყო. მას შემდეგ გლაზგოსა და ედინბურგის უნივერსიტეტების მეცნიერები მათ აკვირდებოდნენ და თავისდა გასაკვირად დაადგინეს, რომ ხანდაზმულ ასაკს იმათ მიაღწიეს, ვინც მთელი ცხოვრების მანძილზე „თავით“ მუშაობდა.







**ცნობილი ხანდაზმულები იყვნენ ექიმი ჰიპოკრატე, რომელმაც 100 წელი იცოცხლა, ფილოსოფოსი და მათემატიკოსი პითაგორე (80 წელი), ფილოსოფოსი ანკასაგორი (72 წელი), დრამატურგები სოფოკლე (90 წელი) და ევრიპიდე (76 წელი), ფილოსოფოსი დემოკრიტე (90 წელი), ფილოსოფოსი დიოგენე (91 წელი), ფილოსოფოსი ეპიკური (91 წელი), მათემატიკოსი და მექანიკოსი არქიმედე (75 წელი).**

ეს ფენომენი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ცნობილმა გერმანელმა ექიმმა თერაპევტმა ქრისტოფ ჰუფელანდმა აღმოაჩინა, რომელიც წერს: „განათლებულების გარკვეული დონე კაცს მისი ფიზიკური მდგომარეობისთვისაც კი სჭირდება, რადგან იგი მას სიცოცხლეს უხანგრძლივებს“. ამის დასტურად მას გენიოსების – სოლომონის, პლატონის, დიოგენის, სოფოკლეს, დემოკრიტეს მაგალითები მოჰყავს, რომლებმაც 80-90 წლის ასაკამდე იცოცხლეს, რაც დღესდღეობითაც საკმაოდ აჭარბებს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას. ეს კანონზომიერება ფიზიოლოგებმა აფორიზმით გამოხატეს: **„უჭკვიანესი ყველაზე დიდ ხანს ცოცხლობს“.**

ამ ფენომენის მიზეზების შესწავლას ახლაღა იწყებენ. ერთ-ერთი ჰიპოთეზით IQ ადამიანისქცევას განსაზღვრავს, ქცევა სხვადასხვა დაავადების მიზეზი ხდება. მაგალითად, ისინი, ვისაც ბავშვობაში IQ უფრო მაღალი ჰქონდა, თამბაქოს მოწევას ინტელექტის შედარებით დაბალი კოეფიციენტის მქონეებზე უფრო ხშირად ანებებდნენ თავს. ამასთან, აღმოჩნდა, რომ მატერიალური მდგომარეობა, შემოსავლის დონე და სოციალური სტატუსი სიცოცხლის ხანგრძლივობაზე დიდ ზეგავლენას არ ახდენს. გონიერ მოხუცთა შორის 45 პროცენტი მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი იყო. მეცნიერთა აზრით, ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენა აქვს არა იმდენად ფულის ოდენობას, რამდენადაც ჯანმრთელობის თვალსაზრისით მათი გამოყენების ხასიათს.

– შესაძლოა ასე იმიტომ ხდება, რომ განვითარებული ინტელექტი ადამიანს სრულფასოვანი, ათასი სახეობის ინტერესით გაჯერებული სიცოცხლით ცხოვრების შესაძლებლობას აძლევს, – ასეთ ახსნას აძლევდა ამ ფენომენს საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი ეტიენ-ემილ ბოლიე. – ინტელექტუალს სიბერემდე, როგორც პატარა ბავშვს, ყველაფერი აინტერესებს, ეს კი ორგანიზმს სულ უფრო მეტი გამაახალგაზრდავებელი ჰორმონის გამომუშავების სტიმულს აძლევს.

**ლალი ხუნდაძე**

⊙ ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ძველ ჩინეთში გავრცელებული იყო სანთლების საათები. ისინი დაყოფილი იყო ნაწილებად, თითოეული დანაყოფი დაახლოებით ერთ საათს იწვოდა, ხოლო ჩვენს დროში ისინი ასაფეთქებელზე მისაბმელ მავთულებად „გადაიქცნენ“, რომელიც იწვის წამში 1 სმ სიჩქარით.

● აფრიკაში, ტოგოს რესპუბლიკაში, თუ მამაკაცი ქალს კომპლიმენტს ეტყვის, აუცილებლად ცოლად უნდა შეირთოს, რამდენადაც ტოგოს რესპუბლიკის სახელმწიფო რელიგია მუსლიმანურია. ისლამის კანონით მთელი სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ ოთხჯერ შეუძლია მამაკაცს ქალს კომპლიმენტი უთხრას.

● ბაჰრეინში მამაკაც ექიმს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ავადმყოფი ქალის სასქესო ორგანოების დათვალიერების უფლება, თუ მათ სარკეში უყურებს.

● ძველ რომში ნოემბერი მეცხრე თვე იყო.

● 1918 წლიდან საბჭოთა კავშირში ყოველ წელს ზეიმობდნენ ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს. მხოლოდ ერთი წელი იყო გამონაკლისი, 1953 წელს, როცა სტალინი გარდაიცვალა და ეს თარიღი ზეიმით არ აღნიშნულა.

● პირველად ის გერმანულ ჟურნალ „იენის“ ყოველკვირეულ „ახალ ამბებში“ გამოჩნდა – 1794 წელს, ციმბირში – 1982 წელს გაზეთ „ალტაის კვირაში“. ასეთ განცხადებებს ზოგან მორალური თვალსაზრისით მიუღებლად მიიჩნევენ, ჩვენთან კი მსუბუქ ირონიას იწვევს, თუმცა ისინი ზოგჯერ დანიშნულებასაც ამართლებენ – ესენია განცხადებები გაცნობის შესახებ.

● ყველას უნახავს მძღოლის სკამზე პლასტმასის ან ხისრგოლებიანი საფენი. მასზე ჯდომა ზოგჯერ უხერხულია, მაგრამ საჭიროცაა და აუცილებელიც, თუ გსურთ თავიდან აიცილოთ რადიკულიტი.

● ჩინელ მეთევზეებს იალქნის საყიდელი ფული რომ არ ჰქონდათ, ნავებზე მათ ნაცვლად ხშირფოთლებიან ხეებს აყენებდნენ.

მოგვაწოდა
**ტიტე კოპალეიშვილმა**

## ყურადღება!

**სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთისა“ და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია**

**2011 წლის 17 ივნისს 13 საათზე ალექსანდრე ყაზბეგის გამზირის 45-ში მდებარე საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში (VI სართული) მართავს საერთაშორისო სადისკუსიო ფორუმს, რომელიც მოისმენს და განსჯის საუბრებს:**

**რაფიელ გელანტიასი, თემაზე:**

**ძველი კოლხეთის ეთნოკულტურული სივრცე – აფხაზეთი და აფხაზები.**

**დემურ ღაღანიძისა, თემაზე:**

**„აფხაზთა და ქართველთა ადრინდელი ერთობლივი მამულიშვილობის დღევანდელი მაჯისცემა“.**

**კარი საამისოდ მოწადინებულთათვის ღიაა, მობრძანდით, მიიღეთ მონაწილეობა!..**

კოორდინატორი აკადემიკოსი **ალექსანდრე კუჭუხიძე**

**ამინდი დღეს**

| | |
|---|---|
| თბილისი. | +16 – +24 |
| ქუთაისი. | +17 – +29 |
| ბათუმი. | +18 – +24 |
| ზუგდიდი. | +18 – +29 |
| თელავი. | +16 – +23 |

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

⊙ კადრი



⊙ ანეკდოტები

– ვიყიდე ენერგოდამზოგავი ნათურა, მივიტანე სახლში და ჩავრთე, მაგრამ არ ანათებს.
– ყველაფერი სწორია, ასეც უნდა იყოს – ენერგიას ზოგავს.

* * *

დემოგრაფიული სიტუაცია სერიოზულად აშფოთებს ხელისუფლებას – ხალხი რატომღაც სასურველი ტემპით არ იხოცება.



* * *

ხელისუფლებას და ოლიგარქიას ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ. დროა, ხალხმაც გადადგას შემხვედრი ნაბიჯი.

* * *

ვიყავი ბალეტში. უზარმაზარი სიამოვნება მივიღე. სანახაობა, რა თქმა უნდა, სტრიპტიზამდე ვერ ქაჩავს, მაგრამ, სამაგიეროდ, მასზე ბევრად იაფია.

* * *

– ივანიჩ, რა არ მოგწონს ქალისგან საწოლში?
– ნუ, როცა იგი ხვრინავს.
– უშუალოდ სექსის დროს?
– განსაკუთრებით უშუალოდ სექსის დროს...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24